ალია

## როდის გახდება ნარმანია ოფიციალურად თბილისის მერი?

და რომელ დღეს მიიღებს მოქალაქეებს?



N107(3037) 15 ივლისი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა
სამშაბათი ალია
ოთხშაბათი ალია
ხუთშაბათი ალია
პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# მამა ბასილ მკალავიშვილი ეკლესიის ძირგამომთხრელ ეპისკოპოსებს ამხელს



## სააკაშვილის დაბრუნების ორი ამერიკული გეგმა

## რა აზრი აქვს ელისაშვილის ინიციატივას, თუკი საკრებულოს მანქანებმა მაინც უნდა იმოძრაონ?

## შსს „ნაცმოძრაობის“ დროინდელ ნარკოტრანზიტის მფარველებზე გადის?

სპეცოპერაციის წარმატებით ჩატარებისთვის ჭიკაიძის პრემია გენერლობა იქნება?



## მოროშკინას მიერ სუბარისთვის მიცემულ ულტიმატუმს ვადა 20 ივლისს გასდის

რა სიურპრიზს უმზადებს ლალი მოროშკინა სუბარსა და დიმიტრი დარბაისელს?!



## მადლობა სამართლიანობისთვის ბრძოლაში ერთგულებისთვის!

შემოწირულობა ანგარიშზე შეიტანეს:

1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ბესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა სადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტრეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი“ – 50; 32. მამუკა კაკუშაძე 20; 33. ჩანჩალაშვილი აბრამი – 300, 34. მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“ – 100, 35. ნოდარ ბუღაძე – 50, 36. ჯემალ ალანია – 3, 37. დავლოსტი გობეჯიშვილი – 30; 38. ზუბერ ავალიანი – 10; 39. გიზო ფაცია – 1000; 40. ზურაბ გუნია – 100; 41. 42. თამრიკო ფაცია – 100; 43. თეა იაკობიძე – 100; 44. მერაბ სარია – 300; 45. მარინე კანდელაკი – 5; 46. შორენა გოშუა – 5; 47. ხელვაჩაური პურპროდუქტები – 150; 48. ცისანა ქირია – 10; 49. ტარიელ ოთიაშვილი – 10; 50. ელისო შიხიაშვილი – 50; 51. ლევან ბანეთიშვილი – 300; 52. ელეონორა ბექაური –10; 53. დავით ჭაქვაძე – 190; 54. ციალა თოფურია – 100; 55. მარიკა ჯაჯანაშვილი – 2, 56. დიმიტრი ტიკარაძე – 250, 57. შპს „პირველი“ – 250, 58. ამირან იაკობიძე – 100, 59. ომარ გოცაძე – 20, 60. ქეთევან ძოწენიძე – 3. 61. მედეა სალდაძე – 10; 62. ვაჟა გელბახიანი – 30; 63. ი/მ გია თუთაშვილი – 10; 64. რამაზ ხინჩკაძე – 20.

სპეციალური ანგარიში „თიბისი ბანკში“ GE30TB7568636020100001




# „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუს გამო თამაზ ბაკურიძე პროკურატურამ დაკითხა

**14 ივლისს ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, თამაზ ბაკურიძე მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. საქმე ეხება 7 ივლისის გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს, სადაც ის თბილისის ყოფილ მერს, გიგი უგულავას აჭარის უშიშროების სამინისტროს ძარცვაში ადანაშაულებდა. თამაზ ბაკურიძის თქმით:**

„როდესაც აჭარაში „ნაციონალებმა“ ე.წ. რევოლუცია მოაწყვეს და აჭარელი ხალხი „გაათავისუფლეს“, გიგი უგულავა იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც აჭარის უშიშროების სამინისტროში შევიდა და რაც კი ღირებული იყო, ტრაილერებით გაზიდა. სამინისტრო გაძარცვა, უახლესი ტექნიკა გაიტანა. მაშინ სამი ტრაილერი გავიდა უშიშროების შენობიდან. უგულავა სამი დღე იჯდა აჭარის უშიშროების მინისტრის მოადგილის, გოგი კუპრეიშვილის კაბინეტში. მან კუპრეიშვილი დააკავა 5 რიცხვში და გააფორმა, თითქოს დააკავა 8 რიცხვში. მას სამი დღე ადამიანი ჰყავდა უკანონო პატიმრობაში. თქვენი გაზეთის საშუალებით მთავარ პროკურატურას ვაძლევ შესაძლებლობას, რომ დაიწყოს გამოძიება. მე ვარ ერთ-ერთი მოწმე, როგორ გაიყვანეს გიგი უგულავამ და გივი თარგამაძემ ჩოლოქზე გოგი კუპრეიშვილი „სპეცნაზის“ თანხლებით. იცი, რა შეუკერეს ოფიციალურად? პირველი – თავდასხმა ვახტანგ კომახიძეზე, მეორე – ტერორიზმი. ვერც ერთი ბრალდება ვერ წაუყენეს, ვერ დაუმტკიცეს და ბოლოს მაინც ციხეში ჩასვეს, შეტენეს თენგიზ ასანიძის საქმე. ამ ადამიანთან კუპრეიშვილს საერთო არასოდეს ჰქონია, ასანიძე აბაშიძემ დაიჭირა და ციხიდან არ უშვებდა. მე მივმართავ პროკურატურას: გამოძიება უნდა დაინტერესდეს, რა ქონება იყო აღრიცხული აჭარის უშიშროების სამინისტროში, საქმე გვაქვს ათეულობით მილიონი დოლარის დატაცებასთან. ფაქტობრივად, უგულავამ გაძარცვა ერთ-ერთი სერიოზული სახელმწიფო დაწესებულება. როცა კუპრეიშვილი დაიჭირა უგულავამ, თან დაემუქრა, შენ ყველაფერს წაგართმევო. წაართვეს აბაშაში მამაპაპისეული სახლი და საერთოდ, რაც კი გააჩნდა, თან ციხის კედლები ახეხინეს. მე აღარაფერს ვამბობ იმ ცნობილ „ჰამერებზე“, ერთით უგულავას ცოლიც კი დადიოდა. რა თქმა უნდა, ამ საქმეში ყაჩაღი უგულავა მარტო არ იყო, ის ასრულებდა სააკაშვილის, ადეიშვილის, ოქრუაშვილის, მერაბიშვილისა და ბოკერიას დავალებებს. ამ ადამიანებმა გაძარცვეს არა მხოლოდ უშიშროების სამინისტრო, არამედ ასლან აბაშიძის რეზიდენციაც, წაიღეს რამდენიმე მილიონის ანტიკვარული ნივთები. სად წავიდა 14 საფრენი აპარატი, რომელიც თავიდან უგულავას სათამაშოები ეგონა? ეს იყო მზვერავი აპარატები, უშიშროება იყენებდა. როცა უგულავას აუხსნეს, ეს სათამაშოები არ არისო, წაიღო და აჩუქა მამამისს, თურმე ფიზიკოსი ყოფილა. ეტყობა, შლის და აწყობს“.

**როგორც პროკურატურიდან გამოსული თამაზ ბაკურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, მთავარმა პროკურატურამ ამ ეტაპზე საქმე აღძრა გოგი კუპრეიშვილის გატაცებასა და უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებით:**

– მას შემდეგ, რაც თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, პროკურატურიდან დამიკავშირდნენ და მთხოვეს, ჩვენების მისაცემად თბილისში ჩამოვსულიყავი.

**— ამ შემთხვევაში საუბარი მხოლოდ გოგი კუპრეიშვილზეა თუ უშიშროების სამინისტროს ძარცვაზეც?**

– ეს ყველაფერი კუპრეიშვილის საქმეზეა მიბმული, კაცი გიგი უგულავას 3 დღე კაბინეტში ჰყავდა დაპატიმრებული და ამის შემდეგ გაიტანა ყველაფერი 3 ტრაილერით. ეს უკვე კუპრეიშვილმა იცის დეტალურად. პროკურატურაში კი მითხრეს, ჟურნალისტებთან დეტალებზე საუბარს მოერიდე გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარეო, მაგრამ იგივე ჩვენება მივეცი, რაც შენთან ინტერვიუში ვთქვი. უნდა ვთქვა, რომ ძალიან კარგი რეაქცია მოჰყვა „ქრონიკაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს. ეს არის ძალიან სერიოზული საქმეა, მაგრამ მე ჯერ არ ვიცი, პროკურატურა როგორ მსვლელობას მისცემს. მე დავიკითხე მოწმის სტატუსით. მოკლედ, ყველაფერი დამტკიცებულ-დასაბუთებულია, თუ სასამართლოში იქნება ობიექტურობა, მაშინ ბატონ გიგი უგულავას მოუწევს დიდი ხნით ციხის კედლების ხეხვა. ეს იქნება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მოეშვება „ნაციონალებთან“ კოჰაბიტაციას.

**— თვითონ გოგი კუპრეიშვილი დაკითხეს?**

– კი, როგორც მე ვიცი, ჩემამდე იყო და ისიც დაკითხეს. სხვათა შორის, რომ არ თქვან, ბაკურიძე მაშინ ალაპარაკდა, როცა გიგი უგულავა დაიჭირესო, უნდა ვთქვა: მე მსგავსი ჩვენება ჯერ კიდევ 2005 წელს მივეცი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, როცა გოგი კუპრეიშვილის პროცესი მიდიოდა, მაგრამ მაშინ ვინ გისმენდა? ახლა ძალიან კარგია, რომ მთავარმა პროკურატურამ ეს საქმე მოიკითხა და გამოძიება დაიწყო. კუპრეიშვილმა მისცა ჩვენება, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე ამჯერად ვერ ისაუბრებს. ფაქტობრივად, თქვენმა გაზეთმა ყველაფერი იცის, თუ რამე იქნება ახალი, არც მაგაზე მომერიდება, დაუყოვნებლივ გაცნობებთ.


»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებას“ გამარჯვებას ულოცავს



პარტია „საქართველოს გზის“ საპატიო თავმჯდომარე კოალიცია „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს.

„ვულოცავ „ოცნებას“ გამარჯვებას! მეორე ტურის ჩატარება მიხარია: ეს საქართველოს ისტორიის აუცილებელი ნაბიჯი იყო და როგორც იქნა – თუმცა დაგვიანებით გადავდგით და ეს ნიშნავს, რომ ვერავინ ველარ იტყვის მომავალში, მეორე ტური არ იქნებაო ან არ დავუშვებთო! ნარმანიას გამარჯვება მიხარია იმდენად, რამდენადაც ეს ნიშნავს „ნაციონალური მოძრაობის“ ფუჭი იმედების გაცრუებას და მათს ასევე ფუჭი დაბრუნების მუქარის გაქარწყლებას. ეს იმასაც უნდა ნიშნავდეს და ამას ველოდები არჩევნების ეიფორიის შემდეგ, რომ უკვე აღარ დაგვიანდება გასამართლებაც და დამნაშავეებისთვის განაჩენის გამოტანაც და ბიუჯეტში დიდი ფულის დაბრუნებაც, რაც ბოლო წერტილს დაუსვამს ამ მოძრაობის პოლიტიკურ მომავალს.... თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ „ნაციონალებისთვის“ მეორე ადგილის, საპარლამენტოდან და საპრეზიდენტოდან, „დათმობა“ დიდი შეცდომაა ქვეყნისთვის, რამეთუ ამით გაიყინა და ცარიელი რჩება პროდასავლური ღირებულებების (ოღონდ ნამდვილად და არა გამოცხადებულად და თან ეროვნული ნიშნით) „ადგილი“ ქართულ პოლიტიკაში.... ანუ დღეს, თუ არა არსებული და სრული უმრავლესობით მოსული ერთი პარტიისა, რომელსაც უჭირავს ყველა სადავე, სხვა არჩევანი და სხვა ალტერნატივა, ან სხვა მაკონტროლებელი ძალა არ არსებობს... თუ არა პრორუსული პარტიებისა ან დისკრედიტებული „ნაცების“ ნარჩენებისა... ეს მდგომარეობა უთუოდ გამოსასწორებელია და ამაზე უნდა ვიფიქროთ და არა მხოლოდ ავყვეთ „ნაცების დამარცხების“ ეიფორიას.... დამთავრდეს დროულად სასამართლოები, განაჩენი გამოტანილ იქნას და შევუდგეთ საქმეს.... ამ საქმეს უთუოდ დასჭირდება სერიოზული კონტროლი, რამეთუ ერთ ხელში როცა თავმოყრილია ძალაუფლება, უკვე კარგად ვიცით, რა საფრთხეები მოჰყვება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი და ყოველდღიური მონიტორინგის ძალა არ შეიქმნა“, – წერს ზურაბიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

## მესტიის მიმართულებით ფრენა განახლდება



რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, მესტიის მიმართულებით ფრენა განახლდება. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთელი წლის განმავლობაში სვანეთთან რეგულარული და სწრაფი კომუნიკაცია მნიშვნელოვან შეღავათს მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, რაც ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია.

სახელმწიფო ავიარეისებს 3 წლის განმავლობაში ლიმიტირებული სუბსიდიით წაახალისებს, რათა კომპანიამ კონკურენტული ფასებით რაც შეიძლება მეტი რეისის შესრულება და ზამთარში ფრენა შეძლოს.

„გარდა იმისა, რომ მესტიის მიმართულებით ავიარეისი აბსოლუტურად კომფორტულია და 45 წუთამდე ამცირებს 7-8-საათიან გზას, ამავე დროს ჩვენ მაქსიმალურად შევამცირეთ ბილეთის ფასი 65 ლარამდე, რათა სვანეთის მოსახლეობისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ავიარეისით სარგებლობა“, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, ნატახტარი-მესტიის ავიარეისის არსებობა გაზრდის ტურისტების მოტივაციას, ეწვიონ სვანეთს, ხოლო სვანეთის მოსახლეობას დამატებით შემოსავალს მისცემს. ამ ტიპის ინტენსიური ავიარეისები ასევე ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბით საჰაერო ტრანსპორტის ბაზის ჩამოყალიბებას და მის განვითარებას.

„მისასალმებელია, რომ ამ პროექტის ფარგლებში ქართულ კომპანიას საშუალება ექნება, გადაამზადოს ქართველი მფრინავები და ტექნიკოსები, რაც კიდევ ერთი ხელშემწყობი იქნება ქართული მცირე ავიაციის განვითარებისთვის“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

ტენდერში გამარჯვებული ქართული კომპანია „სერვის ეირი“ რეისებს მესტიის მიმართულებით კვირაში სამჯერ – ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს შეასრულებს. კომპანია მგზავრებს ახალი, კომფორტული, ჩეხური წარმოების 15-ადგილიანი თვითმფრინავით გადაიყვანს. რეისების შესრულება 18 ივლისიდან დაიწყება. (ნიუპოსტი)

**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**



# მოროშკინას მიერ სუბარისთვის მიცემულ ულტიმატუმს ვადა 20 ივლისს გასდის

## რა სიურპრიზს უმზადებს ლალი მოროშკინა სუბარსა და დიმიტრი დარბაისელს?!

**რატომ და რისთვის დადიან ჩვენი პარლამენტარები ევროპაში? რა საჩუქრები ჩააქვთ „ნაციონალებს“ სტრასბურგსა თუ ბრიუსელში და რა გეგმას ამუშავებენ ისინი ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის?**

**ამ და სხვა თემებზე „ალიას“ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი მრჩეველი ლალი მოროშკინა ესაუბრება, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა საფრანგეთიდან:**

– სტრასბურგში ძირითადად ფიქსირდება „ნაციონალების“ აქტიურობა. სამწუხაროდ, „ოცნების“ დეპუტატების აქტიურობა პრაქტიკულად არ შეინიშნება და ევროსაბჭოშიც ინფორმაციას ძირითადად „ნაციონალებისგან“ იღებენ. ეს არის დიდი შეცდომა, რაც ძალიან ძვირი დაუჯდება დღევანდელ ხელისუფლებას. მიხეილ სააკაშვილს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ურთიერთობა ყოფილ ევროპელ პარტნიორებთან და პიარჯგუფებთან. „ნაციონალებს“ ძალიან ბევრი ჩინოვნიკი ძვირფასი საჩუქრებით ჰყავდათ განებივრებული და ამას ახლაც აგრძელებენ. ყველას არწმუნებენ, რომ საქართველოში ძალიან ცუდადაა საქმე. მაგალითად, სააკაშვილი ერთ-ერთი დიდი ქვეყნის ვიცე-პრემიერთან ლამის ყოველ შაბათ-კვირას ჩადის და მასთან ერთად ატარებს დროს. ამ ადამიანს ძალიან ბევრი ფული აქვს, არაფერს იშურებს, რომ როგორმე სიტუაცია შემოატრიალოს სათავისოდ.

**— ლალი, რა ქნას ახლა ამ ხელისუფლებამ, ირაკლი ღარიბაშვილმაც საჩუქრებით ირბინოს ევროპაში და ღამეები ვიცე-პრემიერებთან ათიოს?**

– არა, კადრები შეცვალოს, „ნაციონალების“ „ზონდერ“-კადრები გაიყვანოს. მე ხომ პირად მაგალითზე კინო ვაჩვენე? მარტო ის ადამიანი გაათავისუფლეს, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს გაუნადგურა ქონება, დანარჩენები ხომ დარჩნენ? ჩვენ ამ არჩევნებში ძალიან ბევრი კანდიდატი ვნახეთ „ოცნების“ მხრიდან, რომლებიც ადრე „ნაციონალები“ იყვნენ. სანამ „ზონდერებს“ არ მოიშორებენ და არ დაიწყებენ ახალი კადრების მოძიებას, მანამდე იქნება საშიში მდგომარეობა. მე მაინტერესებს, ახლა რომ კანონი მიიღეს და საპრემიო ზღვარი დააწესეს, მე რისთვის გამიშვეს? ყველა მინისტრი ისე რომ მოქცეულიყო, როგორც ჯანდაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო მოიქცა და იქცევა, საზოგადოებაში ამდენი უკმაყოფილო ადამიანი არ იქნებოდა. ამოიღეთ პარლამენტარების სამივლინებო ხარჯები, „დაკატაობენ“ წინ და უკან, მე თუ შევძელი ევროსაბჭოს მაღალჩინოსნებთან შეხვედრა, ესენი რატომ ვერ ახერხებენ? სადაც ჩადიან, რატომ არ ხვდებიან ემიგრანტებს, რატომ იმალებიან? ამაზე ძალიან ნაწყენები არიან საფრანგეთში მცხოვრები ქართველები, ასევე ნაწყენები არიან ბრიუსელშიც. მარტო საპარლამენტო არჩევნების პერიოდში გაახსენდებათ ხოლმე. როდესაც ევროპაში იგებენ, რომ საქართველოში ჩინოვნიკები ამდენ პრემიას იწერენ, ქართველებს დეპორტაციას უკეთებენ, თქვენს ქვეყანაში არც ისეთი გაჭირვება ყოფილაო.

**— კარგი. როგორც ვიცი, 20 ივლისს პროკურატურასა და სასამართლოში ერთდროულად შეგაქვს სარჩელები.**

– მე ველოდები სოზარ სუბარის საბოლოო პასუხს, 20 ივლისს იწურება ოფიციალური ვადა, ამ რიცხვამდე უნდა მაცნობოს, აღმადგენს თუ არა სამსახურში. აქ უკვე პრინციპის ამბავია, ხალხს რომ მიგზავნის, გაჩერდესო, აღმადგინოს და მეორე დღესვე დავწერ განცხადებას წამოსვლის თაობაზე. მე ვიცი, რომ უახლოეს ხანში სკანდალური სასამართლო პროცესების მოწმე გახდება საზოგადოება, სოზარ სუბარის საიდუმლო საქმიანობას მალე აეხდება ფარდა. მე ძალიან ბევრი საჩივარი შემაქვს პროკურატურაში სხვადასხვა მიმართულებით. დარბაისელი რომ გაუშვეს, სულ ეგ არის? ამ ყველაფრის შესახებ კარგად იციან ევროსაბჭოში, მე იქ სექტემბერში კიდევ უნდა ჩავიდე, შეხვედრები მაქვს ჩანიშნული. რაც ჩვენთან რესტორნებში იხარჯება, ამ თანხებით ბევრი რამის გაკეთებას შეძლებდა ხელისუფლება და არც არავის ექნებოდა სალაპარაკო. სხვათა შორის, გაოცებული დავრჩი ევროსაბჭოს წევრების ინფორმირებულობით, მათ ისიც კი იციან, რომელ ზონასა და რომელ საკანში რა მოხდა. პირდაპირ ამბობენ, თქვენთან ციხეების ადმინისტრაცია და „კანონიერი ქურდები“ გარიგებულები არიანო. ვის მიაქვს ეს ინფორმაცია, ისევ „ნაციონალებს“, ხომ? აქამდე ჩვენ არ გვქონდა ხელი მოწერილი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, თუ აქამდე ჩაის ტემპერატურას ამოწმებდნენ ციხეებში, ახლა „კანონიერ ქურდებზე“ ლაპარაკობენ. ქალთა კოლონიაში კარგა ხნის წინ უნდა გახსნილიყო პირადი პაემნების ოთახები, რაც დღემდე არ გაკეთებულა. ეს ევროპელებისთვის დიდი სკანდალია, ასეთი რამ არსად არ ხდება, მათთვის ასეთი რამ წარმოუდგენელია. ევროპაში სახელმწიფო თანამდებობები არ არის მაღალანაზღაურებადი, ზოგიერთმა ქართველმა მინისტრმა თვითონ მოიგონა, სახელმწიფო სამსახურებში ხალხი მაღალი ხელფასებითა და პრემიებით უნდა მოვიზიდოთო. თუ ფულის შოვნა გინდა, ამისთვის არსებობს ბიზნესი. მაგალითად, საფრანგეთში ჩინოვნიკებს ეუბნებიან, თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით 2-ოთახიანი ბინით და გექნებათ „პეჟოს“ მარკის მანქანები. ევროპაში ძვირადღირებული მანქანებით „გრიალი“ არის ძალიან ცუდი ტონი და გოიმობა. მე ვეძებ სამართალს, თორემ არაფერში არ მჭირდება სოზარ სუბარის სამსახური, უახლოეს ხანში ბრიუსელში ვაყალიბებ პოლიტიკურ სკოლას ახალგაზრდა დიპლომატებისთვის. ეს იქნება 2-თვიანი მომზადება საქართველოში და მესამე თვე ბრიუსელში.

**— ახლა იტყვიან, ფული საიდანო?**

– ეს იქნება ფასიანი, თუ სურვილი იქნება, ვითანამშრომლებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ამ ყველაფერს დავიწყებ ოქტომბერში.

**— მე ადრეც გკითხე, თუკი შენ სოზარ სუბარის თხოვნას მიიღებ, საჩივარს უკან გაიტან და გაჩერდები, სანაცვლოდ რას იღებ, ხომ არაფერი შემოუთავაზებიათ?**

– კი, შემომთავაზეს რელიგიის დეპარტამენტში საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობა. ეს ახლად შექმნილი დეპარტამენტია მთავრობის კანცელარიაში. იყო საუბარი, რომ ცოტა ხანი თუ მოვიცდიდი, მერე გადამიყვანდნენ დეპარტამენტის უფროსად.

**— მერე, რატომ არ დასთანხმდი?**

– მე არ ვიცი, რას აკეთებს ეს დეპარტამენტი. როგორც მითხრეს, ეს სტრუქტურა შეიქმნა მას შემდეგ, რაც რელიგიური კონფესიების დაფინანსება გადაწყდა. ჩემთვის ეს სფერო გაურკვეველია, ჩემს თავს აქ ვერ ვხედავ. გარდა ამისა, მე რომ ვაჭრობა მდომებოდა, მაშინ თავიდანვე არ ამოვიღებდი ხმას და წავიდოდი რაღაცებზე. მე სასამართლო პროცესზე ყველაფერს ვიტყვი, რაზე მევაჭრებოდნენ, რას მთავაზობდნენ, რაზე იყო საუბრები, კიდევ რაზე არ წავედი და ასე შემდეგ. მე ვუთხარი, სახალხო დამცველის აპარატში რომ გადავიდე, გასაგები იქნება, მაგრამ რელიგიის დეპარტამენტი რა შუაშია-მეთქი?

**— წყნარი ადგილია, ამდენს აღარ ილაპარაკებდი.**

– ალბათ, ასეთი მიზანი ჰქონდათ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე არ მჭირდება შემოთავაზებული სამსახურები. სახალხო დამცველის ოფისი ჩემს საქმეს ცალკე იძიებს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ჩემთან დადებულ ხელშეკრულებას არ აძლევს. დღემდე ჩემი პირადი ნივთებიც კი ვერ გამოვიტანე კაბინეტიდან, ტანსაცმელი მაქვს იქ დატოვებული.

**— მიხვედი და უარი გითხრეს?**

– კაბინეტში არ მიშვებენ, ჩაკეტილი აქვთ. როგორც კი გამათავისუფლეს, საშვი მაშინვე გააუქმეს. ადამიანებს ციხიდან გამოაქვთ თავიანთი ნივთები და მე ვერ გამომაქვს. გარდა ამისა, კამერები და სხვა სახის აპარატურა იყო ჩემს ბალანსზე, კლიპებს ვაკეთებდით, ფოტო და ვიდეომასალას ვამონტაჟებდით, ეს აპარატურა იყო ძვირადღირებული, მე არავისთვის არ გადამიბარებია, სად წაიღეს, აქტი ხომ უნდა შევადგინოთ? სასჯელაღსრულებაში დაიწყეს რაღაც დოკუმენტაციის განადგურება, კადრების უფროსი ვინც იყო, ის გოგოც გაუშვეს სამსახურიდან, რომ არ დარჩენილიყო მოწმე. აი, სწორედ ამ საკითხებზეც დაველაპარაკები სასამართლოში დიმიტრი დარბაისელს და სოზარ სუბარს. მე ვფიქრობ, ქართველ საზოგადოებას ძალიან დიდი სიურპრიზები ელის.



**„უახლოეს ხანში სკანდალური სასამართლო პროცესების მოწმე გახდება საზოგადოება, სოზარ სუბარის საიდუმლო საქმიანობას მალე აეხდება ფარდა. მე ძალიან ბევრი საჩივარი შემაქვს პროკურატურაში სხვადასხვა მიმართულებით“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## „ერგნეთის ბაზრობა, როგორც იდეა უნდა შევინარჩუნოთ“




შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, „ერგნეთის ბაზრობა, როგორც იდეა, უნდა შევინარჩუნოთ, თუმცა ის შეიძლება სხვა ადგილასაც გაიხსნას“.

„ერგნეთის ბაზრობა თავის დროზე იმ დროს არსებული კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე შეიქმნა. ჩვენ ერგნეთის ბაზრობა, როგორც იდეა, უნდა შევინარჩუნოთ, თუმცა სად გაიხსნება და რა ფორმით, ეს უკვე ექსპერტების სამუშაოა, რადგან ბაზრობა იყო ეფექტური. ბაზრობა უნდა გაიხსნას იქ, სადაც მას ეფექტი ექნება“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „შევარდნაძის პომპეზურად დაკრძალვის შემდეგ, სააკაშვილის დაჭერის მდაბიო გეგმით დაკავდნენ“



„ივანიშვილის ბოლმასა და შიზოფრენიას საზღვარი არ აქვს. დღეს უკვე მერამდენედ ჰყავთ დაბარებული დაკითხვაზე პრეზიდენტ სააკაშვილის პირადი დაცვის წევრები და სანდრა რულოვსის მოახლე ქალბატონი... შევარდნაძის პომპეზურად დაკრძალვის შემდეგ, სააკაშვილის დაჭერის მდაბიო გეგმით დაკავდნენ...“, – წერს „ნაციონალი“ დეპუტატი დავით საყვარელიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

## უკრაინის ყოფილი შს მინისტრი მერაბიშვილის პროცესს დაესწრო



უკრაინის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ამჟამად ყოფილი პრეზიდენტის მრჩეველი იური ლუცენკო ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესს დაესწრო. მისი განცხადებით, იგი საქართველოში სპეციალურად ვანო მერაბიშვილის მხარდასაჭერად ჩამოვიდა. (ნიუპოსტი)

## ბათუმში დაბადებული ოთხი ტყუპიდან ერთი გარდაიცვალა



ტყუპების მამის, მამუკა ოტოლაძის თქმით, ოთხიდან ერთი ბიჭი იყო და მისი გარდაცვალება მცირე წონამ განაპირობა.

„ოთხი ტყუპიდან სამი გოგონაა, ხოლო ერთი ბიჭი იყო. გიორგი დავარქვით, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. მეუღლე კარგად არის უკვე, გოგონებზე კი გვეუბნებიან, რომ სტაბილურად მძიმედ არიან. ექიმები ყველაფერს აკეთებენ, დანარჩენი კი ღვთის ნებაა“, – აღნიშნა მამუკა ოტოლაძემ.

კლინიკა „მედინას“ დირექტორი, ჯუმბერ უნგიაძე აცხადებს, რომ ბავშვის გარდაცვალება დღენაკლულობამ და ექსტრემალურად მცირე წონამ გამოიწვია.

„ყველაფერი კეთდებოდა, რომ ეს ბავშვი არ გარდაცვლილიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში შეუძლებელი იყო მისი გადარჩენა. გარდაცვალების მიზეზი გახდა დღენაკლულობა და ექსტრემალურად მცირე მასა. 600 გრამი იყო, რაც ძალიან პატარა წონაა“, – აღნიშნა უნგიაძემ.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში ოტოლაძეებს თითოეულ ტყუპზე 1 000 ლარი გადასცა.

რვაწლიანი ლოდინის შემდეგ ოტოლაძეების ოჯახს ოთხი ტყუპი 7 ივლისს შეეძინა. ნინო, მარიამი, ბარბარე და გიორგი საკეისრო კვეთით დაიბადნენ. (ნიუპოსტი)

# თიბისი ბანკი 2014 წლის საუკეთესო ბანკად დასახელდა საქართველოში

მსოფლიოს ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ფინანსურმა ჟურნალმა, Euromoney, საუკეთესო ბანკების 23-ე ყოველწლიურ დაჯილდოებაზე თიბისი ბანკი დაასახელა 2014 წლის საუკეთესო ბანკად საქართველოში. ეს გამოცემა მესამე წელია, ასახელებს თიბისი ბანკს გამარჯვებულად ამ კონკრეტულ ნომინაციაში.

ბანკების შეფასების კრიტერიუმი იყო მომსახურების ხარისხი, ინოვაციურობა. „ევრომანიმ“ თიბისი ბანკის შეფასებისას გამოყო მისი დაკრედიტების სტაბილური ზრდა, ლიდერობა ტექნოლოგიურ პროდუქტებში, ასევე ისეთი მნიშვნელოვანი ინოვაციები, როგორებიცაა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა და საბანკო დაზღვევის სხვადასხვა პროდუქტი.

„ჩვენთვის დიდი პატივია ჟურნალ Euromoney-ს ამ პრესტიჟული ჯილდოს მიღება. ეს აღიარება ფინანსური მომსახურების სრულყოფისკენ მუდმივი სწრაფვისა და ამ ინდუსტრიაში არსებული უმაღლესი სტანდარტების დაცვის შედეგია“, – განაცხადა თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

უკვე 23 წელია, Euromoney-ს ჯილდო ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში ყველაზე პატივსაცემი დაჯილდოებაა. დაჯილდოება ავლენს 20-ზე მეტ გლობალურ კატეგორიას, ყველა რეგიონში „დარგის საუკეთესოს“ და საუკეთესო ბანკებს მსოფლიოს 100-მდე ქვეყანაში.




# პრემია “საბას” 2014 წლის ფინალისტები დასახელდნენ

## ვინ მიიღებს წელს ყველაზე პრესტიჟულ ლიტერატურულ ჯილდოს?



**გასული, საკმაოდ „ცხელი“ კვირის ერთ-ერთი სიახლე, რამაც ხელოვნების, უფრო ზუსტად კი - ლიტერატურისმოყვარულთა ყურადღება მიიპყრო და საკმაოდ ცხარე დისკუსიებიც გამოიწვია, პრემია „საბას“ 2014 წლის ფინალისტების გამოცხადება იყო.**

კონკურსის ჟიურიმ მუშაობის პირველი ეტაპი დაასრულა და 5-თვიანი მუშაობის შედეგი შეაჯამა: კონკურსზე წარდგენილი 340 წიგნიდან, ფინალურ ეტაპზე, 47 საუკეთესო მოხვდა.

„საბას“ გამარჯვებულები სექტემბერში, “საბას” რიგით მე-12 საზეიმო დაჯილდოებაზე დასახელდებიან. ჟიური გამარჯვებულ ავტორებს 10 ნომინაციაში გამოავლენს და დააჯილდოვებს „საბას“ პრიზითა და ფულადი პრემიებით.

საპრემიო ფონდი 44 ათას ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს „საბას“ კონკურსის დამფუძნებელი და ორგანიზატორი, თიბისი ბანკი გადასცემს.

მანამდე კი მკითხველს გავაცნობთ წლევანდელი ფინალისტების სიას - საინტერესოა, ვინ დაიმსახურებს წელს ყველაზე პრესტიჟულ ლიტერატურულ ჯილდოს, რომლის მფლობელები ბოლო წლების განმავლობაში გახდნენ ჩვენი თანამედროვე კლასიკოსები - გურამ დოჩანაშვილი, რეზო ჭეიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ვახუშტი კოტეტიშვილი, და კიდევ ბევრი სახელოვანი, ყველასათვის საყვარელი მწერალი...

დავიწყოთ რომანის ნომინაციით. წელს საუკეთესო რომანისათვის ოთხი ავტორი გაუწევს ერთმანეთ კონკურენციას: აკა მორჩილაძე, რომლის რომანები რამდენჯერმე გახდა „საბას“ ლაურეატი; ასევე ძალიან საინტერესო ახალგაზრდა პროზაიკოსი, ზვიად კვარაცხელია (რომანისთვის „ფორმა N 100“); 2 წლის წინ „საბას“ მიერ საუკეთესო დებიუტისთვის დაჯილდოებული ეკატერინე ტოგონიძე, რომელმაც ამჯერად რომანის ჟანრში მოსინჯა „ლიტერატურული ძალა“ და ლაშა ბუღაძე, რომანით „Lucrecial 515“.

პროზაულ კრებულებში ხუთი ავტორი უწევს ერთმანეთს კონკურენციას: პოეტი დიანა ანფიმიადი ამჯერად პროზაული კრებულით „პირადი კულინარია“ არის წარმოდგენილი; ბაჩო კვირტია, რომელიც ასევე „საბას“ საუკეთესო დებიუტანტი იყო წლების წინ; ირმა ტაველიძე, კრებულით „აღმოსავლეთის გამოგონება“, არჩილ ქიქოძე („ჩიტის და კაცის ამბავი“) და ბექა ქურხული („ქალაქი თოვლში“).

რაც შეეხება პოეტური კრებულების ნომინაციას, აქ ჟიურის ხუთ საკმაოდ პოპულარულ, საინტერესო თანამედროვე პოეტს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება - გაგა ნახუცრიშვილი, ბათუ დანელია, გიორგი ლობჟანიძე, ეკა ქევანიშვილი თუ სალომე ბენიძე.

ყველაზე ვრცელი ფინალისტების ნუსხა „საბას“ წელს 3 ნომინაციაში აქვს და ყველაზე მწვავე კონკურენციასაც ალბათ აქ უნდა ველოდოთ: საუკეთესო თარგმანი, დებიუტი და ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა.

სასიხარულოა, რომ წელს ერთგვარი „სიუხვე“ და საინტერესო კონკურენციაა ისეთ ორ ნომინაციაში, რომელიც, როგორც წესი, მწირადაა ხოლმე წარმოდგენილი - ესაა ლიტერატურული კრიტიკის და პიესების ნომინაციები. „საბას“ ერთ-ერთი მიზანი სწორედ ისაა, რომ ხელი შეუწყოს და სტიმული მისცეს ლიტერატურული კრიტიკის და დრამატურგიის განვითარებას. ბოლო წლებში აშკარად გამოიკვეთა, რომ ამ 2 ნომინაციის ცალკე არსებობამ მართლაც მისცა სტიმული კრიტიკოსებს, დრამატურგებს, რაც მთავარია, გამომცემლებს, რომ რაც შეიძლება მეტად გამოიცეს ამ ტიპის ლიტერატურა. საინტერესოა, ვინ გახდება წელს საუკეთესო პიესის ჯილდოს მფლობელი - ირაკლი სამსონაძე, დათო გაბუნია, ლაშა ბუღაძე თუ თეონა დოლენჯაშვილი...

დაველოდოთ სექტემბერს და „საბას“ რიგით მეთორმეტე დაჯილდოებას. დაინტერესებულ მკითხველს სრული 2 თვე აქვს იმისათვის, რომ გაეცნოს წლევანდელ ფინალისტებს, „საბას“ ვებგვერდზე saba.com.ge, წაიკითხოს ბოლო ერთ წლის მანძილზე გამოცემული და „საბას“ ჟიურის მიერ საუკეთესოდ მიჩნეული ნაწარმოებები და უგულშემატკივროს თავის ფავორიტ ავტორებს.



გურამ დოჩანაშვილი



ბაჩანა ბრეგვაძე და გივი შახნაზარი



ანა კალანდაძე



ჭაბუა ამირეჯიბი



აკა მორჩილაძე



რეზო ჭეიშვილი

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# სააკაშვილის დაბრუნების ორი ამერიკული გეგმა

**ჩვენ უკვე არაერთხელ დავწერეთ იმის თაობაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი „ევრომაიდანის“ გეგმას ამუშავებს. მას იმედი აქვს, მისი ამერიკელი მამები ბოლომდე არ გაწირავენ და ხელისუფლებაში დააბრუნებენ. ამიტომ „ნაცმოძრაობას“ სააკაშვილის კურთხევით აქვს სქემა, რომელსაც შემოდგომიდან უფრო აქტიურად აამოქმედებს.**

**როგორც „სახალხო კრების“ წევრი, ლაშა ამირეჯიბი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ეს არის კონკრეტულად არა „ნაციონალების“ გეგმა, არამედ ამერიკელების სურვილზე დაფუძნებული პროგრამა:**

**— ლაშა, იქნებ დეტალურად ვისაუბროთ, რა სქემასთან და რა პროგრამასთან გვაქვს საქმე?**

– ყველამ ვიცით, რომ მიხეილ სააკაშვილი ამერიკელების დავალებებს ძალიან კარგად ასრულებდა და თავისასაც უმატებდა. მაგალითად, ამერიკელებს მისთვის არ უთქვამთ, შენ სისხლით უნდა მორწყო ქართული მიწაო. მიშამ დაღვარა სისხლი, ადამიანებს წაართვა ქონება, დაღუპა უამრავი ოჯახი. ეს ყველაფერი იყო დაგეგმილი უცხოეთის სპეცსამსახურებში, მაგრამ არა ისე ხისტად, როგორც ამათ გააკეთეს. რაც სააკაშვილმა და „ნაციონალებმა“ გააკეთეს, ის ეტაპი უკვე კარგად არის შესწავლილი ამერიკელების მიერ, რა იყო კარგი და რა იყო ცუდი, ეს დაადგინეს. მათ გადაწყვიტეს, სააკაშვილი დარბილებული სახით დააბრუნონ, რომელიც ფაქიზად გააგრძელებს იგივე კურსს. ამერიკელებს კიდევ მეორე გეგმა აქვთ, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალების“ შერწყმა. აქ უკვე გზა მიდის „რესპუბლიკელებისკენ“. ამ ორი ძალის შერწყმის შემდეგ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება ირაკლი ღარიბაშვილის ფრთა.

**— როგორ გგონია, როგორ უნდა გაიშალოს ეს გეგმა, რომ დღევანდელი მთავრობის მეთაური ჩამოიშორონ?**

– გარდა იმისა, რომ „ნაციონალებს“ აქვთ თავიანთი ამერიკელი მამების მხარდაჭერა, ასევე არიან ძალიან დაბოღმილები და ყველანაირად ცდილობენ, დღევანდელი ხელისუფლება შიგნიდან ჩამოაქციონ. როცა სისხლი გაქვს დაღვრილი, ფული გაქვს წაღებული, გაკეთებული გაქვს ათასნაირი სიბინძურე, ყველანაირად ეცდები, დაბრუნდე ხელისუფლებაში, გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს. თუ ამათ ამერიკელი მამები არ დაეხმარებიან, მაშინ გამოვლენ და დაიწყებენ მოყოლას, რა ურთიერთობები ჰქონდათ მათთან, ვის რამდენი მისცეს, ვის რა აჩუქეს და რა დავალებები შეასრულეს. ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია ირაკლი ღარიბაშვილის მოქმედებაზეც. თუ უნდა, რომ არ გახდეს ამათი მსხვერპლი, იქით უნდა შეუტიოს და დამნაშავეები დასაჯოს, რათა ესენი იზოლაციაში მოექცნენ. თუ დამნაშავეების დასჯას ბოლომდე მიიყვანს, ხალხი მის მხარეს დადგება. ამ შემთხვევაში ვნახავთ, როგორ ალაპარაკდებიან, ჩვენ არაფერ შუაში ვიყავით, ამ ყველაფერს დასავლეთიდან გვავალებდნენო.

„ნაციონალებისა“ და მათი მამების პროგრამის მიხედვით, ახალ ხელისუფლებაზე შეტევა დაიწყება შემოდგომიდან და სხვათა შორის, თქვენს გაზეთშიც იყო გამოქვეყნებული, რომ მიშა სააკაშვილმა შექმნა ე.წ. ინტელექტუალების ჯგუფი, რომელსაც დაარქვა „ივერია“. არ არის გამორიცხული, კიდევ შეიქმნას ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, ამერიკელებმა წინა პლანზე წამოსწიონ თავიანთი ნების შემსრულებლები და ამით გაანეიტრალონ ყველა ის პარტია, რომელიც დარჩენილია პარლამენტსგარეთ. დასავლეთი დღეს საქართველოში ქმნის ახალ პოლიტიკურ პოლუსს, რომლითაც საერთოდ შეცვლის არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას. ეს იქნება „ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნების“ ერთი ფრთა და ე.წ. ინტელექტუალური ჯგუფები. ე.წ. ივერია, რომელიც მალე გადაკეთდება პოლიტიკურ ორგანიზაციად და მივდივართ იქ, საიდანაც დავიწყე, – სააკაშვილისთვის მომზადდება „რბილი“ გარემო.

**— ლაშა, წინა ინტერვიუში შენ თქვი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაიწყებს წერტილოვან დარტყმებს ღარიბაშვილის მთავრობის მისამართით. იქნებ ამიხსნა, კონკრეტულად რას გულისხმობ?**

– „ნაციონალურ მოძრაობას“ ასეთი დარტყმები უკვე დაწყებული აქვს. როდესაც სასამართლო არის კუბლაშვილის ხელში და იქ არც ერთი საქმე არ მიდის ბოლომდე ნორმალურად, არის თუ არა ეს დარტყმა? იგივე, ახალი ორგანიზაცია არის დარტყმა, სადაც გაერთიანდნენ ყოფილი ელჩები, დიპლომატები და ასევე ყოფილი მინისტრები. მოდით, ვაღიაროთ, სააკაშვილი რაც არ უნდა ნაძირალა იყოს, მაინც ვხედავთ, რომ თავისებურად სწორი გზით მიდის. თუ „ქართულმა ოცნებამ“ მის მეთოდს იგივე მეთოდი არ დაუპირისპირა, ვერ გაუძლებს. თავს ნუ მოვიტყუებთ, „ნაციონალები“ 9 წლის განმავლობაში სწავლობდნენ ინტელექტუალურ დემაგოგიას და ასე აბრუებდნენ ქართველ ხალხს. ამათ 9 წლის განმავლობაში ძალიან დიდი პრაქტიკა მიიღეს, თუნდაც პროვოკაციის მოწყობის თვალსაზრისით. ჩვენ ეს მოგვწონს თუ არა, სხვა საკითხია, მათ კარგად იციან, სად დაგარტყან. ვიმეორებ, ამათ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, სხვა არაფერი უკეთებიათ. შეხედეთ, ტელედებატებს. დამნაშავე გია ბარამიძე რომ მოგიგებს ლაპარაკში, ნება უნდა იბოძო და რაღაცაზე დაფიქრდე.

როდესაც წერტილოვან დარტყმებზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ იმას, რომ „ნაციონალები“ „ქართული ოცნების“ ყველა ე.წ. „ჩეპეს“ მშვენივრად იყენებენ. ახლა გეტყვი ერთ მაგალითს და მიხვდები, როგორ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე. ცოტა ხნის წინ, ერთმა ჩემმა მეგობარმა მას შემდეგ, რაც პროკურატურა მოიარა და ყველა ძალოვანი უწყება, წერილი გაუგზავნა ირაკლი ღარიბაშვილს. ბუნებრივია, ეს წერილი პრემიერ-მინისტრამდე არ მისულა, მაგრამ მისი კანცელარიიდან ისეთი პასუხი დაუბრუნეს, კაცი ვერაფერს გაიგებ. ამ ადამიანს ვასილ სანოძემ, ვაჟა ლელუაშვილმა და მათმა დამქაშებმა შვილი მოსტაცეს, 9 წლის ბიჭი და მას შემდეგ, რაც ყველაფერი გაუნადგურეს, ბიზნესი წაართვეს და სახლიც კი არ დაუტოვეს, ბავშვი დაუბრუნეს, რომელიც 3 წლის განმავლობაში ვერ ლაპარაკობდა და ახლაც კი არ არის მდგომარეობიდან გამოსული. ეს ადამიანი ასახელებს გამტაცებლებს, დებს ფაქტებს, საჩივარს საჩივარზე წერს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. რა უნდა ქნას ახლა ამ ადამიანმა, ან მისმა ოჯახმა? თუკი მას ასეთ პასუხს გასცემენ ყველგან, „ქართული ოცნების“ მტერი გახდება. არის თუ არა ეს წერტილოვანი დარტყმა? „ქართული ოცნება“ უნდა გაუფრთხილდეს თითოეული ადამიანის ბედს, თითოეული ადამიანის დღევანდელობასა და მომავალს, თუ ვინმეს კანცელარიაში, ან რომელიმე სამინისტროებში ეძინება, სახლში საწოლზე წამოწვეს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მცხეთა-ლარსის გზაზე მოძრაობა თავისუფალია



საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზაზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. დარიალის ხეობაში, გეოლოგიური სამსახურების მიერ პროცესებზე დაკვირვება მიმდინარეობდა. აღნიშნულ მონაკვეთზე გადაადგილება საფრთხეს არ წარმოადგენს და მოძრაობა ჩვეულ რეჟიმში ხორციელდება.

13 ივლისს, დევდორაკის ხეობაში, მთელი დღის განმავლობაში უხვი ნალექი ფიქსირდებოდა, რამაც მდინარეებში წყლის დონის მატება გამოიწვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 134-ე კილომეტრზე ლარსისა და ყაზბეგის მიმართულებით შეიქმნა საპატრულო პოლიციის საგუშაგოები, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით, ავტომანქანების გატარებას მორიგეობით ახდენდნენ. (ნიუპოსტი)

## „თბილისის აეროპორტში“ რამდენიმე კანონდარღვევა გამოვლინდა



„თბილისის აეროპორტში“ ბოლო დღეების განმავლობაში სხვადასხვა სახის რამდენიმე კანონდარღვევა გამოვლინდა. შემოსავლების სამსახურის განცხადებით, საბაჟო-გამშვებ პუნქტში კერძოდ, 5 ცალი მობილური ტელეფონის – Samsunng Galaxy S5 და 1200 ღერი ფილტრიანი სიგარეტის Marlboro შემოტანა სცადა დეკლარირების წესის გვერდის ავლით 11 ივლისს „თბილისის აეროპორტში“ აზერბაიჯანის მოქალაქე ფ. მ.-მ, რომელიც რეისით დუბაი-თბილისი ჩამოფრინდა. საქონლის საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 5498,15 ლარი. საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მგზავრს სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 5498,15 ლარის ოდენობით.

ასევე, არადეკლარირებული მობილური ტელეფონები აღმოაჩინეს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა 13 ივლისს, „თბილისის აეროპორტში“, რეისით დუბაი-თბილისი, ჩამოსული აზერბაიჯანის მოქალაქე ა. პ.-ის ბარგის დათვალიერების შედეგად. მგზავრს უკანონოდ შემოჰქონდა არადეკლარირებული IPHONE 5s _ 4 ცალი, NEXUS 5 _ 1 ცალი, SAMSUNG GALAXY NOTE 3 _ 2 ცალი, LGG3 _ 1 ცალი, LG- G FLEX _ 3 ცალი. საქონლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 10824,77 ლარი. მგზავრს, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 10824,77 ლარის ოდენობით. (ნიუპოსტი)

## 15 ივლისიდან რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე სპეცრაზმის გადასროლას გეგმავს



სამხედრო-პოლიტიკური კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, დიმიტრი ტიმჩუკის განცხადებით, „გასულ უქმეებზე ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია და ამის დადასტურება უკვე შეგვიძლია. როსტოვის ტერიტორიაზე სპეცრაზმის გარკვეული ნაწილი უკვე იმყოფება, ესენი გახლავთ ГРУ-ს მზვერავი დანაყოფები. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით 15 ივლისიდან რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე სპეცრაზმის გადმოსროლას გეგმავს“, – განაცხადა ტიმჩუკმა. (ნიუპოსტი)

## მუქარის ზარები ფოთის საკრებულოში და ეკა ბესელიას ჩაშლილი გეგმები



ქალაქ ფოთის საკრებულოს წევრი ვახტანგ დარცმელიძე ფოთის საკრებულოში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

„ფოთში ახალი საკრებულოს სხდომა გაიმართა, ქალბატონ ეკა ბესელიას სურდა საკრებულოს თავმჯდომარე მისი რჩეული გამხდარიყო. თავისი ჭკუით, დალაგებული ჰქონდა მოადგილეები, კომისიები, მაგრამ საკრებულოს უმრავლესობაში ბევრი ნორმალური ადამიანია და ფოთელებმა 8 ხმით 7-ზე ოთარ ხარჩილავა აირჩიეს, მათ ლევან ჩოჩიას კანდიდატურას მხარი არ დაუჭირეს“, – განაცხადა დარცმელიძემ და დასძინა, რომ ამის შემდეგ საკრებულოს წევრების მისამართით განხორციელდა ზარები და დაიწყეს მესიჯების გაგზავნა.

დარცმელიძის ინფორმაციით, ფოთის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ირაკლი დუნდუას მიმართ სისხლის სამართლის „შეკერილი“ საქმეა აღძრული, რომლითაც, მისივე თქმით, „ხშირად მანიპულირებს ზურა ჩაჩუა და მისი „საძმო“, ეკა ბესელიას თამადობით“.

დარცმელიძის ინფორმაციით, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაურეკეს ირაკლი დუნდუას და დაემუქრნენ, სხდომათა დარბაზს თუ არ დატოვებდა, მის მიმართ აღძრული საქმე უფრო დამძიმდებოდა.

„როდესაც მოადგილეებს ირჩევდნენ ირაკლი დონდუასთან ზურა ჩაჩუას მიერ ზარი განხორციელდა, დაურეკა ირაკლი დონდუას და უთხრა, ხომ არ გინდა, რომ საკრებულოს სხდომა დატოვოო, დატოვე, რომ ჩაიშალოსო, თუ არა მაშინ შენი საქმე დამძიმდებაო, ირაკლიმ კი უთხრა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა და საკრებულოს სხდომას არ დატოვებდა. 7 კაცს ვერ დავტოვებ და სხდომას ვერ ჩავშლიო“, – განაცხადა დარცმელიძემ. (ნიუპოსტი)



# რა აზრი აქვს ელისაშვილის ინიციატივას, თუკი საკრებულოს მანქანებმა მაინც უნდა იმოძრაონ?

**თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი კოლეგებს მოუწოდებს, პერსონალური ავტომანქანებზე უარი თქვან. მისი თქმით, საკრებულოს ავტოპარკი უნდა დარჩეს და ნებისმიერ დეპუტატს მოემსახუროს.**

**„ალია“ შეეცადა, საკრებულოს სამეურნეო სამსახურში გაერკვია, რამდენი მანქანა ირიცხება საკრებულოს ბალანსზე და რამდენი უჯდება ბიუჯეტს. სამსახურის უფროსმა, გიორგი ფიცხელაურმა ერთი საათის მანძილზე, იმის მიუხედავად, რომ საკრებულოს პრესსამსახურმა საქმის კურსში ჩააყენა, არც სატელეფონო ზარებს უპასუხა და არც „მესიჯებს“. რა გასაჩერებელია ასეთი ადამიანი თანამდებობაზე, როდესაც ელემენტარულ კითხვებზე არ პასუხობს?**

**სამაგიეროდ, ამ და სხვა საკითხებზე „ალიას“ კითხვებს ალეკო ელისაშვილმა უპასუხა:**

**— ალეკო, ხომ იცოდი, მანქანებს არ შეელეოდნენ, რა აზრი ჰქონდა მიმართვას?**

– ძალიან მარტივი ამბავია. ქვეყანა არ ვითარდება სწორად მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი რამეები ხდება. ვინც მოდის ხელისუფლებაში, იმას მიაჩნია, რომ ახლა დადგა მისი დრო, მისი საახლობლო, სანათესაო უნდა გაძღეს, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში უნდა იშოვონ დიდი ფული. გვახსოვს, როგორი ქვეყნის ფონზე შოულობდნენ ფულს და ძღებოდნენ კახა თარგამაძე, ასლან აბაშიძე, ლევან მამალაძე, იშოვეს მილიონები და გაიქცნენ. მერე მოვიდნენ „ნაციონალები“, იმათაც ასე ჩათვალეს, როგორც მაია ნადირაძემ თქვა, ჩვენი დრო დადგა, ფული უნდა ვიშოვოთო. მაია ნადირაძე, გიგი უგულავა, ეს ცალ-ცალ კალოშიანი ტიპები გაძღნენ. მოვიდა ახალი ხელისუფლება და მათაც ჩათვალეს, რომ ჩვენ, ძმაო, გვეკუთვნის. ეს თუ არ გაჩერდა სადღაც და არ მიხვდა ყველა ჩინოვნიკი, რომ ისინი არიან ხალხის სამსახურში, ხალხმა მათ მისცა მანდატი, რომ ქვეყანა ფეხზე დააყენოს. მეგონა, ახალი საკრებულო რომ მოვიდოდა, არ დამჭირდებოდა არც სკანდალისტობა, არც არაფერის მითითება, მინდოდა, შინაურულად შემეთავაზებინა ეს ახალი შემადგენლობისთვის, მოგეხსენებათ, ბევრს ვიცნობ „ქართულ ოცნებაში“. მინდოდა, მათი ინიციატივა ყოფილიყო ეს და მოულოდნელად არ გამეჟღერებინა. არ ვიყავი საქართველოში და როცა ჩამოვედი კოპენჰაგენიდან, მეგონა, აგვისტოში იქნებოდა სხდომა და ფაქტის წინაშე დავდექი, მეორე დღესვე გამეჟღერებინა ეს ინიციატივა.

**— ადამიანები, რომლებიც თავპირის მტვრევით შერბოდნენ საკრებულოში და ერთი სული ჰქონდათ, დეპუტატები გამხდარიყვნენ, მათ როგორ აუხსნი, ავტოპარკით არ ისარგებლო და არც იმ პრივილეგიებით, რაც გეკუთვნისო?**

– მე ამ ხალხს არაფერს არ ავუხსნი, მე მათ ვეუბნები, რომ ყველა მათგანი აირჩია ხალხმა, მე მათ ვეუბნები, გვინდა კი ასეთი წესი და ჩავატაროთ ექსპერიმენტი, დილას ჩავუსხდეთ საკრებულოს წევრებს მანქანაში, სად დადიან, ვნახოთ. გავხსნათ ეს ამბავი, ეგებ, ეს ხალხი საოცრებებს აკეთებს და მართლა სჭირდებათ? იცით, რაში სჭირდებათ? „მარიაჟობენ“ ნათესავებთან, დაარბენინებენ ოჯახის წევრებს აქეთ-იქით. საკრებულოს დეპუტატები სანამ გახდებოდნენ, ვერ გადაადგილდებოდნენ? 55 წლის არის გიორგი ალიბეგაშვილი და ვერ გადაადგილდებოდა, ვერსად მიდიოდა? თავმჯდომარეობას ელოდებოდა? იარონ ჩემსავით ფეხით, რა მოხდა? განსაკუთრებით აღშფოთდა ჯაბა სამუშია, როგორ, ველოსიპედებით ხომ არ ვივლითო. რომ იაროს, რა მოხდა? „ტოიოტა ქამრიში“ დაიბადა?

**— სანამ დაგირეკავდი, მანამდე ვცადე დაკავშირება ფიცხელაურთან, მაგრამ ამაოდ. რაში უხდიან ხელფასს? იქნებ რაც მისთვის უნდა მეკითხა, შენ გამცე პასუხი?**

– შესწავლილი მაქვს ეს ხარჯები, საკრებულოს, ჩემი ინფორმაციით, 38 მანქანა ჰყავს, არ ვიცი, საპატრულო სამსახურია, სამაშველო თუ საგანგებო სიტუაციების მართვა, ბიუჯეტის მიხედვით საწვავის ხარჯი არის 498 000 ლარი. ეს არის გამაოგნებელი, ეს ხარჯი და მანქანის რაოდენობა რომ შემცირდეს, როგორ იქნება პოპულიზმი? საქმეში რომ ვიხდიდეთ, ხმას არ ამოვიღებდი. პოლიციას რომ უსხამენ ბენზინს, გასაგებია, ალალი და უსაყვედუროა, საკრებულოს წევრები კულტურა, როცა სახელმწიფო მოხელე, დეპუტატი თუ მინისტრი არის ხალხის მსახური, თუ პირიქით? ხალხი, რომელიც თავს არ იზოგავს, მოხვდეს საკრებულოში, მერე იქით იყენებს ხალხს. ეს ხომ უკვე ნანახი გვაქვს? ქაოსური ქვეყანა და ღარიბი ხალხი ხომ ვნახეთ, რა შედეგამდე მივიდა? მე არ მაინტერესებს ის ადამიანები, ვინც სხვანაირად ფიქრობს, მე ჩემი ქალაქი მიყვარს და რამდენად პათეტიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, მე ვარ ჩემს ამომრჩეველთან პასუხისმგებელი. იმიტომ გადავწყვიტე პოლიტიკაში წასვლა და საკრებულოში შესვლა, რომ ასეთი უმსგავსოებები დამთავრდეს. თავს იკლავენ, რომ მოხვდნენ სადღაც იმიტომ, რომ მერე ჩაჯდნენ წილებში. ასე არ არის რა. ეს ყველაფერი რომ არ მომწონდა, იმიტომ ვარ ახლა მანდ.

**— მანქანებზე უარი თქვითო, მიმართავ, თან ამბობ, ავტოპარკი დარჩეს და ვისაც დასჭირდება, გამოიყენოსო. ამით რა იცვლება, თუ მანქანებმა მაინც უნდა იმოძრაონ, მაინც ხომ ფული იხარჯება?**

– საკრებულოს წევრებს რად უნდათ მანქანები? მოდი, დავსხდეთ და

**— აი, უკვე გაქვს პირველი წინააღმდეგობები, ერთი ადამიანი თუ მაინც აღმოჩნდა, მხარი რომ დაგიჭირა?**

– დიახ, ჩუმად მითხრა „ოცნების“ რამდენიმე წარმომადგენელმა, ოღონდ ახლა სახელებსა და გვარებს ვერ დავასახელებ ღიად.

**— ზოგმა თქვა, ელისაშვილი პოპულისტობსო. რა პასუხს გასცემდი მათ?**

– გასაგებია, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც არ ვუყვარვარ და მიაჩნიათ, რომ ყველა ჩემი განცხადება არის პოპულიზმი, ესეც პოპულიზმად მონათლეს და „სითი პარკთან“ დაპირისპირებაც. არადა, მე მიმაჩნია, რომ ყველა პენსიონერს უნდა ჰქონდეს პრივილეგია და ესეც პოპულიზმი ჰგონიათ. რა ვქნა ახლა? მე ვარ ხალხის წარგზავნილი საკრებულოში და მათ სურვილებს თუ იქ ვახმოვანებ და ამის გამო პოპულისტად მივაჩნივარ, მაშინ კი, ბატონო, ვარ პოპულისტი. საკრებულოს ბენზინის ხარჯი არის ნახევარი მილიონი ლარი, ეს რომ ასე არ იყოს და ეს ნახევარი მილიონი რამე ხეირიან საქმეს მოხმარდეს, ეს პოპულიზმია? თუ პოპულიზმია, წავიდნენ და თითო ლარი შეუგროვონ, ბენზინი ჩაუსხან საკრებულოს დეპუტატებს.

დილით მიდიან სამსახურში, მერე მთელი დღე აგარაკზე დარბიან, პანაშვიდებზე, ოჯახის წევრების სასეირნოდ და მე ამაში ფულის გადახდა არ მინდა.

**— რაც შეეხება „სითი პარკს“, მის შესახებ დოკუმენტების გამოთხოვას აპირებდი...**

– ჩემი პოზიციაა, რომ „სითი პარკი“ გაძევებული იყოს ქალაქიდან, ამაში ვარ ღრმად დარწმუნებული, დანარჩენს სხდომებზე გავარკვევ. ახლა მოსამზადებელი შეხვედრა იყო და როცა საფუძვლიანი შეხვედრები იქნება, იქ დავსვამ საკითხს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

**რედაქციისგან: მაინც გაურკვეველი დარჩა, რა აზრი აქვს ელისაშვილის ინიციატივას, თუკი საკრებულოს მანქანებმა მაინც უნდა იმოძრაონ? ვთქვათ, საკრებულოს თავმჯდომარე სახლიდან საკრებულოში და საკრებულოდან სახლში იქნება მისაყვანი, კაცმა არ იცის, „მუქთა“ მანქანას დახარბებული დეპუტატები სად და რამდენს ივლიან. შეიძლება ხარჯი ბევრად მეტიც აღმოჩნდეს. საწვავზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მანქანების შეკეთების ხარჯებიც გაიზრდება.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს რკინიგზით რუსული კომპანიები დაინტერესდნენ



რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის განცხადებით, საქართველოს რკინიგზით რუსული კომპანიები ინტერესდებიან. მისი თქმით:

„საუბარია რკინიგზაზე, რომელიც აზერბაიჯანის გავლით გადის საქართველოზე. არის წინადადებები, რომ ჩვენი ტრანზიტი გამოიყენონ თავიანთი პროდუქციის ექსპორტისთვის, მათ შორის საუბარია ნავთობპროდუქტებზეც. ტვირთების გადაზიდვა მოხდება პორტებში, ფოთსა და ბათუმში. ეს აინტერესებთ რუსულ კომპანიებსა და მგონი, საინტერესოა ჩვენი რკინიგზისთვისაც, რა თქმა უნდა“, – განაცხადა აბაშიძემ. (ნიუპოსტი)

## საქართველოს საელჩო ისრაელში განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ისრაელში მიმდინარე მოვლენებზე აცხადებს, რომ საქართველოს საელჩო ისრაელში განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს:

„სამინისტროსა და საელჩოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ყველანაირი ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეებისთვის. ვინც დახმარების თხოვნით მიმართავს საკონსულოს ყველას აღმოუჩენენ დახმარებას, არსებობს ცხელი ხაზი, არსებობს განცხადებები და ყველა საშუალება საელჩოსა და საკონსულოსთან დაკავშირებით“, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

## ინფრასტრუქტურის სამინისტრო სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაერთო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სტიქიის მიერ ლენტეხისთვის მიყენებული შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაერთო.

ძლიერი წვიმის შედეგად, ლენტეხის მუნიციპალიტეტში შიდა გზებზე ჩამოვიდა მთის ნაშალი, დაიტბორა ეზოებისა და სახლების ნაწილი. გაწმენდით სამუშაოებს სტიქიის ზონაში ადგილობრივი ხელისუფლება აწარმოებდა.

სამინისტროს თანამშრომლები სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას კოორდინაციას ადგილზე გაუწევენ. მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისთვის მიყენებულ ზარალს სპეციალური კომისია დაითვლის. (ნიუპოსტი)

## საკრებულოების ახალი თავმჯდომარეები



ბათუმის ახლად არჩეული საკრებულოს თავმჯდომარედ ირაკლი ჭეიშვილი აირჩიეს. ჭეიშვილს 25 დეპუტატიდან მხარი 21-მა დაუჭირა, მოწინააღმდეგე იყო ერთი დეპუტატი, ხოლო სამს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღო.

ირაკლი ჭეიშვილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი იყო.

ის 2012 წლის არჩევნების შემდეგ აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იყო.

ქუთაისის ახალი მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი გახდა. ის ახალ საკრებულოში „ქართული ოცნების“ სიით მოხვდა. დვალი წინა მოწვევის საკრებულოს წევრიც იყო და საკრებულოში „ქრისტიან-დემოკრატების“ ფრაქციას ხელმძღვანელობდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, „ქართული ოცნების“ დეპუტატი გოგი ხელაძეა. მას 30-დან 21 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მის კონკურენტს, დამოუკიდებელ კანდიდატ ემზარ თევდორაძეს კი 9 ხმა ერგო, ერთი ბიულეტენი ბათილი აღმოჩნდა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ წევრი თამაზ ჟორჟოლიანი უხელმძღვანელებს. 29 დეპუტატიდან მას მხარი 28-მ დაუჭირა, ერთი ბიულეტენი კი ტექნიკური ხარვეზის გამო კომისიამ ბათილად ცნო.

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მაღლაკელიძეა. ის თავმჯდომარედ 21 ხმით აირჩიეს.

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# მამა ბასილ მკალავიშვილი ეკლესიის ძირგამომთხრელ ეპისკოპოსებს ამხელს

**„ალიას“ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბასილი მკალავიშვილი ესაუბრა:**

**— მამა ბასილი, შევარდნაძე დაკრძალეს დიდი პატივით. როგორც ვიცით, ღია ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ შევარდნაძის დროს არ ყოფილა. მეტიც, ის ეკლესიას საშუალებას აძლევდა ებრძოლათ სექტანტების წინააღმდეგ. იყო თუ არა ასე?**

– მართლაც დიდი პატივით დაკრძალეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მან რაიმე სიკეთე მოუტანა ერს. პირიქით, ძნელია, გაიხსენო ის შავბნელი დღეები, რომელიც 1991-92 წლებში ვიწვნიეთ. როცა ბატონი ზვიად გამსახურდიას ნეშტი როსტოვიდან ჩამოასვენეს, მთელი რუსთაველის პროსპექტი სავსე იყო ხალხით, ხოლო შევარდნაძის დაკრძალვაზე საზღვარგარეთიდან უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ჩვენიანები. ყველაზე დიდი სიმდიდრე ის არის, როცა ხალხს უყვარხარ. მე მგონი, აქ უკვე ყველაფერი ნათქვამია.

რაც შეეხება ეკლესიასთან დამოკიდებულებას, შევარდნაძე დიდად მორწმუნე არ ყოფილა, მაგრამ ეკლესიასთან და უშუალოდ ილია მეორესთან საქმე დალაგებული ჰქონდა. ის იყო ძნელად ამოსაცნობი, სიღრმისეული დახვეწილი მოთამაშე, რითაც ყოველთვის მიზანს აღწევდა. თუ ეკლესია მის წინააღმდეგ მოიმართებოდა, მასაც ჰქონდა კომპრომატები და გასაჯაროებით დაემუქრებოდა. შევარდნაძეს სექტანტები ძალიან ეჯავრებოდა, ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს მოგითხრობთ. გასულ წლებში იეღოველებმა ფრიად მოზრდილი 14 ტომი ხელმოწერები შეაგროვეს ჩემს წინააღმდეგ, ეგ ხელმოწერები მიიტანეს შევარდნაძის კანცელარიაში, დილით, როცა შევარდნაძე კანცელარიაში მივიდა უკითხავს, ეს რა მაკულატურა არისო, მას აუხსნეს, რომ ეს იყო იეღოველების საჩივარი. როგორც გადმოგვცეს, მას ცოტა ჩაეღიმა და თქვაო: ეხლა მართლმადიდებლებმა რომ შეაგროვონ ხელმოწერები, ხომ აივსება ეს ოთახიო, თუმცაღა მას საზღვარგარეთიდან გამუდმებით ავალებდნენ სექტანტების დაცვას. შევარდნაძე გარკვეულწილად მართლაც თვალს არიდებდა იეღოველების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას.

**— არჩევნების მეორე ტური ჩატარდა, სადაც ხალხი ისევ არ მივიდა. ამას როგორ ახსნით?**

– ხალხი გულგატეხილი და მოტყუებულია. მათი ბოლო იმედი, დაპირებებიდან გამომდინარე, ივანიშვილი იყო, ხსნას მისგან ელოდნენ. სწორედ იმედგადაწურული საზოგადოების დახმარებით ხელისუფლებაში ისინი მოხვდნენ, ვისთვისაც მართლაც ოცნება იყო თბილი, პრემიებით სავსე ადგილები. როგორც კი მიზანს მიაღწიეს, შეჭირვებული ხალხი სრულიად დაივიწყეს და განცხრომას მიეცნენ. მოსახლეობისთვის არაფერს ცვლის არჩევნებზე მისვლა, მათ ურჩევნიათ ისევ ქუჩა-ქუჩა იარონ ლუკმაპურის საშოვნელად, ხოლო ვინც არჩევნებზე მივიდა, მათი მიზანია, ოღონდ სააკაშვილი არ მობრუნდეს ხელისუფლებაში და იძულებულები არიან, ისევ „ოცნებას“ მისცენ ხმა.

**— გიგი უგულავა ციხიდან იმუქრება, „ნაციონალები“ არ ეცემიანო. როგორ ფიქრობთ, მობრუნდებიან?**

– ვეკითხები ფაქტობრივ ხელისუფლებას, სააკაშვილი რატომ გაუშვეს საქართველოდან? დაძრწის მთელ მსოფლიოში, ესწრება სხვადასხვა კონგრესებს, ხვდება ევროპის ქვეყნების ლიდერებს და ევედრება მათ, დაეხმარონ, რათა ისევ დააბრუნონ მთავრობაში. სარკოზი ხელბორკილდადებული მიიყვანეს სასამართლოში, რამდენი ცოდვა აქვს ჩადენილი სააკაშვილს, რამდენი ბოროტება, არის სათვალავი კი? მე კატეგორიულად ვაცხადებ, სანამ სააკაშვილი ხელბორკილებით არ წარდგება ქართველი ერის წინაშე თავის ბანდასთან ერთად, რომლებიც ჯერ კიდევ არიან დარჩენილი, ჩვენ არაფერი გვეშველება, მასაც უნდა მიაყოლონ „ელიტარული“ საზოგადოება, „საამაყო“ მწერლები: ქარუმიძეები, დეისაძეები, ბურჭულაძეები, ტუალეტის მჯღაბნელები, მათი დამფინანსებლები... თუ ერის საღმა ნაწილმა არ მიიღო კატეგორიული გადაწყვეტილება, რად გვინდა, საზღვარგარეთელ გარყვნილებებზე რომ ვსაუბრობთ, ისევ ჩვენი ქართველები არიან ზნედაცემულნი და სამარცხვინონი. მათ უნდა აეკრძალოთ საზოგადოებაში გამოჩენა.

**— თქვენი აზრით, დაიწყება „ნაციონალების“ გასამართლების პროცესი?**

– მე მჯერა, რომ აუცილებლად დაიწყება. როგორ შეიძლება ციხის ბუნტის მომწყობი და 8 კაცის მკვლელი გიგა ბოკერია თავისუფლად დადიოდეს და სახელმწიფო საქმეებში ერეოდეს? ან ბარამიძე, რომელმაც სვანეთში ვერტმფრენიდან რაკეტები დაუშინა უდანაშაულო

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*



**„პატრიარქის სავარძლის დაპატრონებასა და პატრიარქობას დიდი ხანია ოცნებობენ, იმას კი არ ფიქრობენ ეს უმძიმესი ტვირთი და მოვალეობაა. ერის არასწორი სულიერი გაძღოლით შეიძლება უფსკრულის პირას აღმოვჩნდეთ, ეს ვიწვნიეთ ჩვენ, სწორედ დღეს ვართ ამ მდგომარეობაში, ერი ხედავს რომ პატრიარქი დაუძლურებულია და არ შეუძლია ერის სულიერი მართვა, რის გამოც ეკლესიაში სრული განუკითხაობაა, ვისაც რა უნდა იმას აკეთებს, ამიტომაც უჭირავთ თვალი გარკვეულ პიროვნებებს პატრიარქობისკენ“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზეწოლა ქარელის საკრებულოს ახალ თავმჯდომარეზე დეპუტატების თანდასწრებით მოხდა



ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ივანე არდემანაშვილი აირჩიეს. არდემანაშვილმა თავისი მოადგილეს ჯუმბერ შუბითიძის კანდიდატურა წარადგინა. დეპუტატები გადაწყვეტილებას იღებდნენ, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარეს ტელეფონზე დაურეკეს და სავარაუდოდ, დასახელებული კანდიდატის შეცვლა მოსთხოვეს. არდემანაშვილი უცნობ პიროვნებას ეუბნებოდა, რომ გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა და მოადგილის კანდიდატურაზე სხვა პიროვნებას არ წარადგენდა.

„რომ შევეწირო, გადაწყვეტილებას მაინც არ შევცვლი, თუ ასე იქნება საკრებულოს თავმჯდომარეობის პოსტიდან გადავდგები. ჩემთვის საკრებულოს თავმჯდომარეობა დიდი არაფერია“, – განაცხადა ტელეფონზე საუბრისას არდემანაშვილმა.

მისმა საუბარმა უცნობ პიროვნებასთან საკრებულოს დეპუტატები გააღიზიანა და სხდომაზე ხმაური დაიწყო. დეპუტატებმა აღნიშნული სატელეფონო საუბარი საკრებულოს თავმჯდომარეზე ზეწოლად შეაფასეს. ამის მიუხედავად, დეპუტატებმა არდემანაშვილის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურა აირჩიეს.

ჩვენი ინფორმაციით, პიროვნება, რომელმაც საკრებულოს თავმჯდომარეს დაურეკა, სთხოვა მის მოადგილედ, გამგებლის ყოფილი მოადგილე, ნათია გოჩაშვილი დაესახელებინა, რომელიც ამჟამად საკრებულოს დეპუტატია. თუმცა არდემანაშვილმა გადაწყვეტილება არ შეცვალა. (ნიუპოსტი)

## „სითი პარკის“ სანიმუშო დასჯას მოვითხოვ“




საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე „სითი პარკის“ „სანიმუშო დასჯას“ ითხოვს.

„ახლად არჩეულმა საკრებულომ და ახლად არჩეულმა მერმა, დავით ნარმანიამ, რომელმაც ორი დღის წინ აბსოლუტურად სამართლიანად განაცხადა, ძალიან მალე ნახავთ ჩემი გუნდისა და ჩემს ეფექტურ საქმიანობასო, მივმართავ, რომ საქმიანობა ამ კამპანიით დაიწყონ, რომელიც აბსოლუტურად დაკავებულია მოსახლეობის რეკეტით. „სითი პარკის“ სანიმუშო დასჯას მოვითხოვ“. – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

დეპუტატი „სითი პარკს“ სასამართლოში უჩივის. მისი თქმით, მის მიერ გადახდილი 10-ლარიანი ჯარიმის შესახებ ინფორმაცია კომპანიამ დროულად არ მიაწოდა ბანკებს, რის გამოც ლორთქიფანიძის ანგარიშები დაყადაღებულია. (რეპორტიორი)

## ჩხოროწყუში ღარიბაშვილის მხარდაჭერა ვერ გაიყვეს




ჩხოროწყუს ახლად არჩეულ საკრებულოში თავმჯდომარე აირჩიეს. სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა „ქართული ოცნების“ 12-კაციანმა დეპუტაციამ, რისი მიზეზიც, მათივე განმარტებით, კანდიდატების საკითხი გახდა. მათ კანდიდატურას – კობა ჯიქიას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უჭერს მხარს. თუმცა იგივე ინფორმაცია გაავრცელა საინიციატივო ჯგუფის წევრმაც მის მიერ წარდგენილ კანდიდატურაზე – ბესიკ ესებუაზე.

როგორც სხდომის დატოვების შემდეგ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ჩხოროწყუს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ კორნელი წურწუმიამ განაცხადა, 13 ივლისს, გვიან ღამით კოალიციაში შემავალი პარტიების შტაბებში კოალიციის ცენტრალური ოფისიდან დარეკეს და განუმარტეს, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად მხარს ყოფილ თავმჯდომარეს, არჩევნების წინ კოალიციიდან საინიციატივო ჯგუფში გადაბარგებულ ბესიკ ესებუას უჭერს.

„ჩხოროწყუ ისევ „ნაციონალების“ ხელშია. ის პირები, რომლებიც საინიციატივო ჯგუფში არიან გაწევრიანებული, ყოფილი „ნაციონალები“ არიან და სწორედ მათი მხრიდან მოხდა ბესიკ ესებუას დასახელება“, – აცხადებს წურწუმია.

კოალიციის სხვა წევრების განმარტებით, ისინი ცენტრალურ ოფისში ზოგადი ვითარებისა და იმის გარკვევას შეეცდებიან, რატომ თქვეს მმართველი გუნდის პირველმა პირებმა უარი კოალიციის კანდიდატ კობა ჯიქიას მხარდაჭერაზე, რის შემდეგაც საკრებულოში საქმიანობას გააგრძელებენ. (ფრონტნიუსი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

მოსახლეობას, რასაც მოჰყვა მსხვერპლი. მაგათი დანაშაულების ნუსხა ისეთი დიდია ჩამოთვლაც შეუძლებელია, ამიტომ სასამართლოს, მართლმსაჯულებას არანაირი უფლება არა აქვს თვალები დახუჭოს ამაზრზენ ფაქტებზე და სასჯელი არ მიაგოს. ვინც ამას არ აღასრულებს თვით მათ და მომავალ თაობას მოეკითხებათ მათი ცოდვა.

**— მამაო, წინა ინტერვიუში ბრძანეთ, რომ მაღალ სასულიერო იერარქებთან საუბრობთ სხვადასხვა საკითხებზე. ახალი ხომ არაფერია?**

– სისტემატურად მაქვს საუბრები სხვადასხვა სასულიერო პირებთან, ვისაც გული შესტკივა გაუსაძლის მდგომარეობაზე, ჩვენი ქვეყნის ბედზე, ვსაუბრობთ ჩვენი ერის გადარჩენისათვის, ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვისთვის. ისინი არ მალავენ, რომ საპატრიარქოს წიაღში, კერძოდ, სინოდის წევრებიდან ბევრნი არიან სააკაშვილი მომხრეები, რომელთაც საქართველოს ბედი არ აინტერესებთ.

**— ამბობენ, რომ ეკლესიაში პატრიარქის შემდგომი პერიოდისთვის ემზადებიან, რამდენად ძლიერია ეს ქვედადინებები?**

– ყველამ ვიცით, საპატრიარქოში არასახარბიელო მდგომარეობა იყო და ეხლა უფრო გამძაფრდა. პატრიარქის სავარძლის დაპატრონებასა და პატრიარქობას დიდი ხანია ოცნებობენ, იმას კი არ ფიქრობენ, ეს უმძიმესი ტვირთი და მოვალეობაა. ერის არასწორი სულიერი გაძღოლით შეიძლება უფსკრულის პირას აღმოვჩნდეთ, ეს ვიწვნიეთ ჩვენ, სწორედ დღეს ვართ ამ მდგომარეობაში, ერი ხედავს, რომ პატრიარქი დაუძლურებულია და არ შეუძლია ერის სულიერი მართვა, რის გამოც ეკლესიაში სრული განუკითხაობაა, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს, ამიტომაც უჭირავთ თვალი გარკვეულ პიროვნებებს პატრიარქობისკენ.



ძირითადად ორი დაპირისპირებული მხარე დგას, ერთ მხარეს იობი, იაკობი და მათი თანამოაზრენი, ხოლო მეორე მხარეს ლიბერალი სააკაშვილის თანამოაზრე ეპისკოპოსები. მეუფე იაკობის მკაცრი ქადაგებები ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ასევე იმ სასულიერო პირთა წინააღმდეგ, რომლებიც უღირსნი არიან თავიანთი ქმედებით ემსახურონ ეკლესიას, უკვე მედიაში ღიად დაუპირისპირდნენ მეუფე იაკობს, ისინი სიმართლეს თვალს ვერ უსწორებენ, ეშინიათ, თრთიან, რომ ვაითუ ხვალ არ აღმოჩნდნენ სააკაშვილივით მოხეტიალენი. ასეა თუ ისე სასულიერო პირი, რომელიც კანონიკას არღვევს და არ იქცევა ისე, როგორც ჭეშმარიტ მსახურს შეეფერება, იმათი ადგილი არ არის ეკლესიაში, რამეთუ ისინი აზრკოლებენ ეკლესიის ერის წინსვლას.

> **„გასაკვირი არაფერია, ზოგიერთი გიგი უგულავას თბილისის მაშენებელსაც უწოდებს, ხოლო ამ მეუფეს პირადად არ ვიცნობ, მსმენია. უგულავას ხელების ფათური ეკლესიის საქმეში გამიგია, უზნეო საქმეებიც გამიგია, რაც შეეხება აღნიშნული ეპისკოპოსის პოზიციას, ცოტა ძნელი მისახვედრია. ალბათ, გიგი უგულავამ რაღაც ძალიან ასიამოვნა, თორემ უგულავას მიერ აშენებული ეკლესია ნამდვილად არ მინახავს“**

**— მამაო, ხომ არ დაგვისახელებდით ასეთ ეპისკოპოსებს?**

– თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ვინ უწოდებდა სააკაშვილს აღმაშენებელს – კალისტრატე მარგალიტაშვილი, ვინ გახსნა ფოთში ეკლესია „მიშა მაგარიას“ სიმღერით – ფოთის ეპისკოპოსმა ბერბიჭაშვილმა, პეტრე ცაავა, რომელიც ამბიონიდან მოუწოდებდა მრევლს ხმა მიეცათ სააკაშვილისთვის. გურიის ეპისკოპოსი, რომელმაც დაწყევლა ის გურულები, რომლებიც სააკაშვილს ხმას არ მისცემდა და სხვები, რომლებიც ღიად არ ჩანან და შეფარულად უთხრიან ეკლესიას საფუძველს. ეხლა გიპასუხებთ, ეკლესიის ლუსტრაცია, როგორ უნდა მოხდეს: ეკლესიის განწმენდა უღირსი სამღვდელოებისგან მოხდება მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლებაში მოვა დიდი დავითის დარი ხელმძღვანელი, როცა მოიწვევენ რუის-ურბნისის მსგავს კრებას და ეღირსება საქართველოს წმიდა ეკლესია – წმიდა სინოდი.

**— მეუფე მელქისედეკი გიგი უგულავას ეკლესიების მაშენებელს უწოდებს და მადლობასაც კი უხდის...**

– აქ გასაკვირი არაფერია, ზოგიერთი გიგი უგულავას თბილისის მაშენებელსაც უწოდებს, ხოლო ამ მეუფეს პირადად არ ვიცნობ, მსმენია. უგულავას ხელების ფათური ეკლესიის საქმეში გამიგია, უზნეო საქმეებიც გამიგია, რაც შეეხება აღნიშნული ეპისკოპოსის პოზიციას, ცოტა ძნელი მისახვედრია. ალბათ, გიგი უგულავამ რაღაც ძალიან ასიამოვნა, თორემ უგულავას მიერ აშენებული ეკლესია ნამდვილად არ მინახავს.

**— მამაო, ანაკლიაში ტარდება „კაზანტიპის“ ფესტივალი, სასულიერო პირები აღშფოთებულები არიან, ეს გარყვნილების პროპაგანდააო. თქვენი პოზიცია როგორია?**



– ჩემო კარგო, ნეტავ, სასულიერო პირები მაშინ აღშფოთებულიყვნენ, როცა ორი ათეული წლის წინათ მე ვბობოქრობდი, მაშინ მათ არხეინად ეძინათ რბილ ბალიშებზე, მე კი ვგრძნობდი ყოველივეს, რაც მოხდებოდა. ეხლა, როცა მართლმადიდებლობას გაუტოლეს ყველა სექტები, როცა მათი დაფინანსებაც დღის წესრიგში დგას, ეხლა, როცა მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, როცა ხელფეხი გავუხსენით ევროპულ აღვირახსნილობას, როცა ვაკანონებთ „ლგბტ“ ორგანიზაციას, მივიღეთ „აიდი“ ბარათები წულუკიანის წყალობით, ყოველივე ეს სამზადისი იყო იმისა, რაც ამის შემდეგ გველოდება. სააკაშვილმა, რომელმაც ზნეობრივად გარყვნა ერი, ახალგაზრდებს ბუჩქებისკენ მიუთითებდა, როცა თვით მორალურად გარყვნილი პიროვნებაა, მეტს კარგს რას ველოდით მისგან? ისრაელის პრეზიდენტი რამდენიმე ქალის გაუპატიურებისთვის დაიჭირეს. სააკაშვილმა მთელი ერის დამცირებისთვის არ უნდა აგოს პასუხი? ეხლა კი, გენაცვალე, ჩვენ უსუფაშვილის, წულუკიანის და ა.შ. წყალობით, რადგანაც კარი გავუღეთ უზნეო ხალხს, ამის შემდეგ ნუ გაგვიკვირდება უამრავი უმიზეზო სულის წარმწყმედელი ფესტივალი. აკი ბაიდენი ამბობს: „მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა, კულტურა აქვს იმ ერს, რომელიც იცავს „ლგბტ“ საზოგადოების ინტერესებსო“, კომენტარი ზედმეტია.

> **„რამდენი ცოდვა აქვს ჩადენილი სააკაშვილს, რამდენი ბოროტება, არის სათვალავი კი? მე კატეგორიულად ვაცხადებ, სანამ სააკაშვილი ხელბორკილებით არ წარდგება ქართველი ერის წინაშე მის ბანდასთან ერთად, რომლებიც ჯერ კიდევ არიან დარჩენილი, ჩვენ არაფერი გვეშველება“**

ჩემი პოზიცია იქნებოდა, რომ ხელისუფლებას, რომელმაც ამდენი ზიანი მიაყენა ქართველი ერის ტრადიციებს, ძირძველ კულტურას, ზნე-ჩვეულებებს, ოჯახის სიწმიდეს, სისხლით ნათესაობას, უნდობლობა უნდა გამოეცხადოს, დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები და მთელი ხელისუფლება შეიცვალოს, ვერ ვაცნობიერებთ, რომ დაგვცინიან, არაფრად გვაგდებენ. ერის ასეთი გადაგვარებისთვის ღმერთი არ დააყოვნებს და მოგვივლენს განსაცდელს, ამიტომ დროა, მოვეგოთ გონს, მიმოვიხედოთ, ჩვენმა მეზობელმა ერებმა, როგორ გვაჯობეს საკუთარი ტრადიციების დაცვაში. შევთხოვოთ უფალს მოგვიტევოს ცოდვანი ჩვენი.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## „თბილისს არასაოცნებო მერი ჰყავს“



„ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატის დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ნარმანიას მხარდაჭერა სჭირდება.

„მეორე ტურში ჩემი გასვლა კრახით დასრულდებოდა ნარმანიასთვის. ეს არ არის სუბიექტური შეფასება, ეს არის პოლიტიკური მოცემულობა. ამიტომ „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან კარგად გამოიყენა „ნაციონალური მოძრაობის“ ფაქტორი. პირველ ტურშიც მელიას ხმები გაზრდილი იყო ხელოვნურად, რომ ლორთქიფანიძე მეორე ტურში არ გასულიყო და არ აღმოჩენილიყო პირისპირ ნარმანიასთან. მე, რა თქმა უნდა, წარმატებას ვუსურვებ ბატონ ნარმანიას და იცოდეს მან, რომ თითოეული მისი დაპირება იქნება ყოველთვიური მსჯელობის საგანი და ვფიქრობ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეუწყობს, რომ ქართველმა საზოგადოებამ მოიგოს, ამ პროცესიდან გამომდინარე. რაც შეეხება მილოცვას „ქართული ოცნებისადმი“, ვერ მივულოცავ მათ, მარტო იმ მიზეზის გამო, რომ პირველ ტურში მოსული ადამიანების ხმების ძალიან დიდი პროცენტი გაბათილდა, მე ასეთი ტრაგიკული სტატისტიკის ფონზე ვერ მივულოცავ, თუმცა, ფაქტის წინაშე ვდგავართ, თბილისს არასაოცნებო მერი ჰყავს, მას სჭირდება მხარდაჭერა, რომ ეს სამი წელიწადი ნაყოფიერად, თბილისის საზოგადოების სასარგებლოდ ჩაატაროს“, – განაცხადა ლორთქიფანიძემ. (რეპორტიორი)

## უმაღლესი განათლების კანონში ცვლილებები შედის



უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებები შედის. ის პირები, რომლებიც სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში, ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე გააგრძელებენ. ამასთანავე, ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით უმაღლესებში მოხვდებიან ის პირებიც, რომელთაც განათლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აქვთ მიღებული.

გარდა ამისა, საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილე, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირობითი ჩარიცხვისა და დაფინანსების წესის დამტკიცების უფლებამოსილება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიენიჭება. (ფრონტნიუსი)

## მიხეილ სააკაშვილი ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში იმყოფება




საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში იმყოფება. სააკაშვილი უკვე შეხვდა მინისტრთა კაბინეტის წევრებს. როგორც სააკაშვილმა განაცხადა, ალბანეთის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებს მთელი დღეა აცნობენ საქართველოში განხორციელებულ იმ რეფორმებს, რომლებიც მათ ძალიან აინტერესებთ და ძალიან მოსწონთ.

„უკვე დიდი ხანია ამ ქვეყნის მთავრობა, ქვეყნის, რომელიც ნატო-ს წევრი და ევროკავშირის წევრობის კანდიდატია, გვიწვევს. ჩვენ მივიღეთ ეს მოწვევა და ჩამოვედით. ძალიან საინტერესო, შინაარსიანი, მრავალსაათიანი საუბრები გვაქვს. საბოლოო ჯამში, ეს, რა თქმა უნდა, ემსახურება საქართველოს სახელის გატანას და საქართველოს რეპუტაციის კიდევ უფრო განმტკიცებას“, – აღნიშნა სააკაშვილმა.

ის პროკურატურაში მისი დაცვის ყოფილი უფროსის, დაცვის წევრებისა და ოჯახის დამხმარე ქალბატონის დაკითხვას გამოეხმაურა:

„გავიგე, რომ თემურ ჯანაშია, ჩემი დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი და ახლა უბრალოდ ჩემი თანაშემწე საზღვარზე გააჩერეს და ქვეყნიდან აღარ უშვებენ. ის უნდა დამხმარებოდა აქ რაღაცებში. წინა ჯერზე რამდენიმე ჩვენი წევრი დააკავეს კიევში რომ არ ჩამოსულიყვნენ და მე არ ვენახე. დაცვის თანამშრომლები დაკითხეს, პატრიოტი ბიჭები, რომლებიც შევარდნაძის დაცვაშიც იყვნენ. ისინი ნებისმიერ მთავრობას ემსახურებიან, ისინი არიან საქართველოს სამსახურში და არა რომელიმე ცალკეული პირის სამსახურში“, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, დაკითხვაზე დაბარებული ქალბატონი მისი მეუღლის, სანდრა რულოვსის დამლაგებელია და არა მზარეული, როგორც გამოაცხადეს. „სანდრა თვითონ აკეთებს საჭმელს და მზარეული არ სჭირდება“, – აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ის ყველაფერი, რაც ხდება, საბოლოოდ საქართველოს რეპუტაციას აზარალებს. „ყველაფერს ხომ აქვს რაღაც საზღვარი და რაღაც წესები ხომ უნდა არსებობდეს?! ძალიან მახინჯი და უაზროა ეს ყველაფერი უკვე. რა თქმა უნდა, ყველა მხრებს იჩეჩს და ეს აზარალებს საქართველოს რეპუტაციას“, – განაცხადა სააკაშვილმა.

საქმეს, რომელზეც მთავარ პროკურატურაში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაცვის უფროსი, დაცვის წევრები და დამხმარე ქალბატონის დაკითხვა მიმდინარეობდა, გრიფი „საიდუმლო“ ადევს. (ინტერპრესნიუსი)



„ჩვენ გვახსოვს, როგორ ალაშფოთა პრემიერი ღარიბაშვილის მინისტრების პრემიებმა და თქვა, აწი მე გამოვუწერ ჩემს მინისტრებს პრემიებსო. ახლაა სწორედ ის მომენტი, რომ ან პრემია გამოუწეროს ჭიკაიძეს, ან წოდება მოუმატოს და გენერლის წოდება მიანიჭოს. ალბათ, პრემიაზე მეტად ეს გაუხარდება ახალგაზრდა მინისტრს“

# შსს „ნაცმოძრაობის“ დროინდელ ნარკოტრანზიტის მფარველებზე გადის?

## სპეცოპერაციის წარმატებით ჩატარებისთვის ჭიკაიძის პრემია გენერლობა იქნება?

11 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უპრეცედენტო ოპერაცია განახორციელა. ქართველმა სამართალდამცავებმა დააკავეს სატვირთო მანქანა, რომელშიც 2 ტონა და 790 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება – თხევადი ჰეროინი აღმოჩნდა, რომელიც 80% სუფთა ჰეროინს შეიცავს. ნარკოტიკის ეს პარტია აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით ევროპაში უნდა გადაეტანათ. ამ რაოდენობის ნარკოტიკის აღმოჩენა და დაკავება საქართველოში ჯერ არ მომხდარა. მეტიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 3 ტონამდე ჰეროინის დაკავება საქართველოზე ბევრად განვითარებულ, ნარკოტრაფიკთან ბრძოლაში ჩვენზე მეტად გამოცდილ ქვეყანაშიც კი არ მომხდარა. საქართველო რომ ნარკოტრანზიტის ერთ-ერთი ქვეყანაა, ამის შესახებ ყველამ იცოდა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და გაერო-ს ყოველწლიურ დასკვნებში მუდამ ხაზგასმულად იყო ეს ფაქტი. ქართველი და უცხოელი ექსპერტებიც მუდმივად ლაპარაკობდნენ ამ თემაზე. მიუხედავად ამისა, „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს, დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების აღმოჩენის ფაქტები არ დაფიქსირებულა, მეტიც, 2011 და 2012 წლებში 1 კილოგრამზე ნაკლები ჰეროინი, მარიხუანა და სინთეტიკური ნარკოტიკი იქნა ამოღებული. წინა ხელისუფლების დროს, არაერთი ექსპერტის აზრით, უშუალოდ ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მფარველობით, ნარკოტიკების უზარმაზარი რაოდენობა გაედინებოდა საქართველოს გავლით, ასევე, საქართველოს ბაზრისთვის უკონტროლოდ შემოედინებოდა დიდძალი ნარკოტიკი და არც ამის განმკითხავი იყო ვინმე, რადგან იმავე ექსპერტების ინფორმაციით, საქართველოს სატრანზიტო მონაკვეთსაც და შიდა ბაზარსაც ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები აკონტროლებდნენ და ამით უზარმაზარ ფულს შოულობდნენ...

ნარკომარშრუტის მფარველობას, ერთი ფაქტიც ადასტურებს. 2008 წლის დეკემბერში, 375 კგ ჰეროინი ამოიღეს ბულგარეთის ქალაქ ბურგასში იქაურმა სამართალდამცავებმა და გამოძიებამ დაადასტურა, რომ ეს ნარკოტიკი ბურგასში ფოთის პორტიდან შევიდა. სხვათა შორის, ეს ფაქტი აშშ-ს სახდეპარტამენტისა და გაერო-ს დასკვნებშიც მოხვდა. ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა საქართველოს გავლით, თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება აღმოუჩენიათ.

„ალია“ შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ნინო გიორგობიანს დაუკავშირდა, რომელმაც ზემოაღნიშნული ოპერაციისა და ზოგადად, სამინისტროს მიერ ნარკოდანაშაულთან ბრძოლის შესახებ, შემდეგი ინფორმაცია მოგვაწოდა: 11 ივლისს დაკავებული თხევადი ჰეროინი, 30-კილოგრამიან კასრებში იყო დაფასოებული და მისი სავარაუდო ღირებულება 400 მილიონ დოლარს შეადგენს. საქართველოში დღეს აქტიურად მოქმედებს ნარკოტრანზიტის შემდეგი მარშრუტი: ავღანეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი-ევროპა. ეს თითქმის 3 ტონამდე ნარკოტიკიც ევროპაში უნდა მოხვედრილიყო, ეს იყო საბოლოო მიზანი. ამ საქმეზე შს სამინისტროს თანამშრომლები რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდნენ. საქმე ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გაიხსნა, დანარჩენი ინფორმაცია, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ხმაურდება. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ ოპერაციის მონაწილე შს სამინისტროს თანამშრომლები დაჯილდოვდებიან, პრემიებით თუ სხვა სახით, ეს ჯერ უცნობია. აშკარად დაიმსახურეს, რადგან 3 ტონამდე ნარკოტიკის დაკავებით მთელი მსოფლიო განაცვიფრეს.



„ეტყობა, მისი აღმოჩენა უფრო უჭირთ ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურებს, შესაძლოა, მისი გადატანა უფრო იაფი უჯდებათ, ანდა ერთიცაა და მეორეც და ნარკომაფიამ ამ ახალ საშუალებას მიაგნო, გაათხევადა და ახლა ისე ავრცელებს ჰეროინს. მერე ისევ გაამყარებენ, გააკრისტალებენ და გაყიდიან. წამგებიან სვლას, მერწმუნეთ, ეგენი არ გადადგამენ, კარგად ვიცნობ ამ სამყაროს“

ჩვენ გვახსოვს, როგორ ალაშფოთა პრემიერი ღარიბაშვილი მინისტრების მიერ თავისთვის გამოწერილმა პრემიებმა და თქვა, აწი მე გადავწყვეტ, რომელი მინისტრი იმსახურებს და მე გავცემ პრემიებსო. ახლაა სწორედ ის მომენტი, რომ ან პრემია გამოუწეროს ჭიკაიძეს, ან წოდება მოუმატოს და გენერლობა მიანიჭოს. ალბათ, პრემიაზე მეტად ეს გაუხარდება ახალგაზრდა მინისტრს.

ალექსანდრე ჭიკაიძის მინისტრად დანიშვნისთანავე გამკაცრდა ნარკოტიკებთან ბრძოლის პოლიტიკა, მინისტრის ბრძანებით და კონტროლს დაექვემდებარა არაერთი სახის ფსიქოტროპული და სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალება, რამაც შედეგი გამოიღო. მარტო ე.წ. კრაკადილისა და „ბიოს“ მოხმარება“ 90%-ით შემცირდა, ასევე, მკვეთრად შემცირდა სხვა ნარკოტიკების გამოყენებაც. სადაც კანონის სიმკაცრე ამცირებს დანაშაულს, იქ, ცხადია, დღის წესრიგში დგება კანონის უფრო გამკაცრების საკითხი. ეს გამორიცხული არ არის. ამ ეტაპზე შს სამინისტროს ანალიტიკური სამსახურები მუშაობენ, სწავლობენ, აანალიზებენ შედეგებს და მალე გაირკვევა, უფრო გამკაცრდება თუ არა კანონი ნარკოდანაშაულის მიმართ.

შს სამინისტროს ხელმძღვანელობა დაინტერესებულია, გაირკვეს, წლების განმავლობაში ვინ იდგა ნარკოტრანზიტის უკან, როცა საქართველოდან უპრობლემოდ გაედინებოდა ნარკოტიკი და ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. მოკლედ, შესაძლოა, მალე წინა ხელისუფლების იმ მაღალჩინოსნების ვინაობაც გავიგოთ, ვინც ნარკოტრანზიტს მფარველობდა და ამით მილიონებს შოულობდა.

მართალია, ამ ოდენობის ჰეროინი სხვა დროს არ ამოუღიათ ჩვენს სამართალდამცავებს ახალი ხელისუფლების პირობებში, მაგრამ შარშანაც დიდი რაოდენობით ჰეროინი ამოიღეს – 117 კგ. მოდით, შევადაროთ ეს ციფრები მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლების მაჩვენებლებს. 2010 წელს სულ ამოღებულ იქნა 1 კგ და 4 გრამი ჰეროინი, 2011 წელს კი – 886 გრამი. 2012 წელს – 291 გრამი. გესმით, 2011

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### სამტრედიის გამგებელს კაბინეტი დანგრეული დახვდა




როგორც ვალერი ფოცხვერია აცხადებს, პირველი სამუშაო დღის ასეთ ფონზე გატარება მისთვის გულდასაწყვეტი და მიუღებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ სამტრედიის ახალ გამგებელს სამუშაო ოთახში აპარატის არც ერთი თანამშრომელი არ დახვდა.

ვალერი ფოცხვერიას თქმით, ეს სამუშაო პროცესზე არ აისახება.

„ძალიან ცუდია, როცა სამუშაო ოთახი ასე დამხვდა. იმ ფონზე, როცა აიფონებითა და უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი აქაურობა, თუმცა ეს სამუშაო პროცესში ხელს ვერ შემიშლის“, – აცხადებს სამტრედიის გამგებელი.

2012 წლის არჩევნების შემდეგ, სამტრედიას გამგებელი 2 წლის განმავლობაში არ ჰყავდა. ამ ხნის განმავლობაში გამგებლის მოვალეობას ავთო თადუმაძე ასრულებდა. (ინტერპრესნიუსი)

### „ჩემი ოჯახის წევრების გამოსახლება სადამსჯელო ოპერაციის მეორე ეტაპია“



თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ სადამსჯელო ოპერაციის მეორე ეტაპი მისი ოჯახის წევრების გამოსახლებაა.

„მე ისედაც წინასწარ პატიმრობაში ვიმყოფები, ამიტომ ხელმეორედ ჩემს დაპატიმრებას აქვს მხოლოდ ის მიზანი, რომ ჩემი ოჯახის წევრები გაამწარონ. გირაოს სახით უზრუნველყოფილია ჩემი სიდედრის სახლი და შესაბამისად, იქმნება საფრთხე, რომ ის უსახლკაროდ დარჩეს. ახლა სადამსჯელო ოპერაციის მეორე ეტაპი, როგორც ჩანს, ჩემი ოჯახის წევრების გამოსახლებაა“, – განაცხადა უგულავამ. (რეპორტიორი)

### მერიაში საკადრო წმენდა იწყება



ახლად არჩეული მერი, დავით ნარმანია მოვალეობის შესრულებას ცესკოს მიერ არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ შეუდგება, თუმცა, როგორც ჩანს, სამსახურში მისვლისას მას თანამშრომელთა ნაწილი მერიაში აღარ დახვდება. გავრცელებული ინფორმაციით, მერიის თანამშრომელთა ნაწილი ნარმანიას პოლიტიკურ გუნდთან მუშაობას არ აპირებს და მის მისვლამდე სამსახურიდან წამოსვლას გეგმავს. ასე, მაგალითად ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე მარიკა დათუკიშვილი აცხადებს, რომ ნარმანიას გუნდი არ არის ის გუნდი, რომელთანაც ის ითანამშრომლებს. მისივე თქმით, თანამდებობებს სამსახურის უფროსები და რამდენიმე საკვანძო თანამდებობის პირი დატოვებს. საინტერესოა ის გარემოება, რომ მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე დავით ნარმანიამ განაცხადა მისი გამარჯვების შემთხვევაში მერიაში აუცილებლად განხორციელდებოდა სტრუქტურული ოპტიმიზაცია და რომ დედაქალაქის მერიიდან აუცილებლად განთავისუფლდებოდნენ არაკვალიფიციური კადრები. ამ დროისთვის თბილისის მერიაში დაახლოებით 1500 ადამიანი მუშაობს. (პირველი რადიო)

*მეცხრე გვერდიდან*

წელა 1 კილოგრამი ჰეროინიც კი არ ამოულია მრისხანე ვანო მერაბიშვილსა და მის უწყებას, ხოლო 2012 წელს მხოლოდ 291 გრამი, ნახევარი კილოგრამიც კი არა. არადა, დიდის ამბით გვიმტკიცებდნენ, რომ ნარკოდანაშაულს წარმატებით ებრძოდნენ და საქართველო ნარკოტრაფიკის მარშრუტის ერთ-ერთი ქვეყანა არ იყო. უსინდისოდ ტყუოდნენ, რომ საქართველოდან ნარკოტიკები არ გაედინებოდა.

**შს სამინისტროს მიერ განხორციელებული ოპერაციისა და საქართველოს, როგორც ნარკოტრანზიტის ქვეყნისა და სხვა საინტერესო საკითხებზე „ალიას“ ნარკომანიასთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალი ჯემალ ჯანაშია ესაუბრება:**

> **„არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა საქართველოზე გამავალი ნარკოტიკი ხან თურქეთში აღმოაჩინეს, ხან ბულგარეთში და ხანაც, ევროპის სხვა ქვეყნებში. ძველი ხელისუფლების უპირობოდ დადანაშაულება არ შემიძლია, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნარკოტრანზიტს მფარველობდნენ, არსებობს“**

**— ბატონო ჯემალ, როგორ შეაფასებდით 3 ტონამდე თხევადი ჰეროინის დაკავების ფაქტს?**

– ეს, უპირველესად, იმას ნიშნავს, რომ საქართველო ჩამოყალიბდა საერთაშორისო ნარკოტრანზიტის შემადგენელ ნაწილად, დიდია დაინტერესება საქართველოთი საერთაშორისო ნარკოკარტელებისა. ჩვენი რეგიონი, ჩვენი ქვეყანა გახდა ევროპაში ნარკოტრანზიტის უმოკლესი და ამავე დროს, ყველაზე უსაფრთხო გზა და ეს ძალიან სამწუხაროა. რაც შეეხება ამ 3 ტონამდე ნარკოტიკის ამოღების ფაქტს, ცხადია, ეს უდიდესი საქმეა, ამხელა რაოდენობის ნარკოტიკი, მგონი, მაიამიშიც კი არ ამოუღიათ. ჩვენს სამართალდამცავებს ამისთვის მადლობა ეკუთვნით ნამდვილად.

**— ამ თხევად ნარკოტიკს როგორ გაყიდდნენ, ევროპამდე რომ მიეღწია.**

– დააკრისტალებდნენ, გაამყარებდნენ და ისე გაყიდდნენ. ექსპერტთა ინფორმაციით, ეს იყო, დაახლოებით 80-პროცენტიანი ჰეროინი, მას დაუმატებდნენ სხვადასხვა ნივთიერებას და ჰეროინის რაოდენობა გაიზრდებოდა. ჰეროინის შემცველობის პროცენტს დასწევდნენ შესაბამის ნიშნულამდე, სადამდე, ამას მე ვერ გეტყვით, მაგრამ სადღაც ერთი-ორად მოიმატებდა ამ თხევადი ნარკოტიკის რაოდენობა, უხეშად რომ ვთქვათ.

**— კი, საქართველო აზია-ევროპის ნარკოდერეფნის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ეს ერთ დღეში არ მომხდარა, ამაში, ალბათ, დამეთანხმებით. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წინა ხელისუფლება მფარველობდა ნარკოტრაფიკიორებს, დიდ ფულს აკეთებდა იმაში, რომ საქართველოზე გაეტარებინათ დიდი ოდენობით ნარკოტიკი. გაერო-სა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ დასკვნებშიც ეწერა, საქართველო ნარკოდერეფნის შემადგენელი ნაწილიაო. ამის ფონზე, 2011 წელს, იმჟამინდელმა ხელისუფლებამ, მხოლოდ 886 გრამი ჰეროინი ამოიღო, ერთი კილოგრამიც კი არა. ეს ფაქტი არ მეტყველებს იმაზე, რომ წინა ხელისუფლება არ ებრძოდა ნარკოტრანზიტს?**

– მე სხვა ამბებსაც შეგახსენებთ. არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა საქართველოზე გამავალი ნარკოტიკი ხან თურქეთში აღმოაჩინეს, ხან ბულგარეთში და ხანაც, ევროპის სხვა ქვეყნებში. ძველი ხელისუფლების უპირობოდ დადანაშაულება არ შემიძლია, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნარკოტრანზიტს მფარველობდნენ, არსებობს. თუნდაც თქვენ მიერ ნახსენები გაერო-სა და ამერიკის სახდეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები, სადაც მუდამ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ საქართველო ნარკოდერეფანია. ამის მიუხედავად, წინა ხელისუფლების დროს, ერთხელაც არ აღმოუჩენიათ დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება. ან ხელს აფარებდნენ, ან სათანადოდ არ ებრძოდნენ, ორში ერთია.

ამხელა რაოდენობის ნარკოტიკების ამოღება იმას ნიშნავს, რომ ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო რეალური ბრძოლა ამ ნარკოდერეფნის გასაკონტროლებლად. გაათმაგებული ბრძოლა ახლა მოუწევთ. ნარკომაფია ახლა ამ მარშრუტზე უფრო ფრთხილად იქნება, შესაძლოა, სხვა, ალტერნატიული მარშრუტებიც გაიხსენონ და აამუშაონ. გარდა აზერბაიჯანის ვექტორისა, რა გზითაც ეს სამ ტონამდე ნარკოტიკი შემოვიდა საქართველოში, დიდი ხანია, ირანი-სომხეთი-საქართველოს მარშრუტი მუშაობს და მისი ბოლო დანიშნულების პუნქტიც ევროპაა. აი, ამ მარშრუტის გაკონტროლებაც ისევე მკაცრად მოუწევთ ჩვენს სამართალდამცავებს, როგორც აზერბაიჯანის ვექტორისა. ადრე, როცა მე ვხელმძღვანელობდი ნარკოტიკებთან ბრძოლის ეროვნულ ბიუროს, უმთავრესად აფხაზეთის გავლით შემოდიოდა ნარკოტიკი საქართველოში და მერე ხვდებოდა ევროპაში. შესაძლოა, ახლა ეს მივიწყებული მარშრუტიც გაიხსენონ, რადგან უკონტროლო ან ნაკლებად კონტროლირებადი ტერიტორია მაინც ყველაზე სასურველი გზაა ნარკოტიკის გადასატანად.



**— ბატონო ჯემალ, საერთაშორისო ნარკომაფიამ უარი თქვა აფხაზეთის უკონტროლო ტერიტორიაზე და ახალი მარშრუტები შეიმუშავა, იგივე აზერბაიჯანისა და სომხეთის ვექტორები, ანუ კონტროლირებადი გზებით არჩია ნარკოტიკის საქართველოს ტერიტორიაზე გატარება. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ წინა ხელისუფლებასთან შეთანხმდებით ხდებოდა ეს ყველაფერი, საქართველო მათი ხელდასხმით იქცა ნარკოდერეფნად? სხვაგვარად, ამხელა რისკზე ხომ არ წავიდოდნენ?**

– ლოგიკურია თქვენი მოსაზრება და ძნელია, არ დაგეთანხმოთ, თუმცა ფაქტები არ მიჭირავს ხელში, რომ წინა ხელისუფლება ასე ხელაღებით დავადანაშაულო ნარკოტიკების ტრანზიტის მფარველობაში. თუმცა, ხელმოსაჭიდი ეჭვები და ვარაუდები მეც გამაჩნია. თუნდაც ის ფაქტი ავიღოთ, რომ ნარკოტიკებთან ბრძოლის ეროვნული ბიურო გააუქმეს, სხვა სამსახურს შეუერთეს და შსს-ში ნარკოტიკებთან ბრძოლის ახალი სამსახური შექმნეს, რომელიც ბევრად გაამარტივეს. არადა, ეს ისეთი დანაშაულია, მართლა ეროვნული ბრძოლის რანგში უნდა აიყვანო. ამიტომაც იყო, იმ ძველი ხელისუფლების პირობებში, სერიოზული რაოდენობის ნარკოტიკების ამოღება არ მომხდარა, ბოლო 2 წლის მანძილზე კი, ამ 3 ტონამდე ნარკოტიკს თავი დავანებოთ, არაერთხელ მოხდა დიდი ოდენობით ჰეროინის ამოღება. მახსოვს, 117 კილოგრამი ჰეროინი ამოიღეს შარშან და არც ეს იყო პატარა საქმე.




> **„საქართველოში დღეს აქტიურად მოქმედებს ნარკოტრანზიტის შემდეგი მარშრუტი: ავღანეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი-ევროპა. ეს თითქმის 3 ტონამდე ნარკოტიკიც ევროპაში უნდა მოხვედრილიყო, ეს იყო საბოლოო მიზანი“**

**— კი, ბატონო, ძალიან კარგი ფაქტი მოხდა, რომ ამხელა რაოდენობის ნარკოტიკი ამოიღეს, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ რამდენიმე ასეთი პარტია, თუნდაც წელს, ვერ აღმოაჩინეს და ევროპაში მოხვდა?**

– ცხადია, ყველა პარტიას ვერ აღმოაჩენ. ნარკოტიკებთან ბრძოლა მეტად რთული და სპეციფიკურია. ყველა მხარე მალავს დანაშაულს, გამყიდველიც, მყიდველიც და გადამტანიც.

**— ეს თხევადი ჰეროინი დიდი ხანია გამოჩნდა ნარკობაზარზე?**

– ზუსტად ვერ გეტყვით, როდის გამოჩნდა, მაგრამ ეს სიახლეა. ეტყობა, მისი აღმოჩენა უფრო უჭირთ ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურებს, შესაძლოა, მისი გადატანა უფრო იაფი უჯდებათ ანდა, ერთიცაა და მეორეც და ნარკომაფიამ ამ ახალ საშუალებას მიაგნო, გაათხევადა და ახლა ისე ავრცელებს ჰეროინს. მერე ისევ გაამყარებენ, გააკრისტალებენ და გაყიდიან. წამგებიან სვლას, მერწმუნეთ, ეგენი არ გადადგამენ, კარგად ვიცნობ ამ სამყაროს.

**ლევან ჯავახიშვილი**
5 77 51-73-37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ცხინვალმა ლუგანსკში კონტეინერებით იარაღი გაგზავნა



ე.წ. სამხრეთ ოსეთმა ლუგანსკში ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად, იარაღის პარტიაც გაგზავნა. ამის შესახებ ინტერნეტგამოცემა „ლუგანსკიე.ცომ“ იუწყება.

„სამხრეთ ოსეთმა არა მხოლოდ ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარა, არამედ მას დახმარებასაც უწევს. უახლოეს დღეებში სამხრეთ ოსეთიდან ძვირფას საჩუქარს მივიღებთ“, – აღნიშნულია ამავე ინტერნეტგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში.

საიტის ინფორმაციით, მიმდინარე კვირას ტვირთი რეგიონში ჩავა. „ეს იქნება კონტეინერები იარაღით, მათ შორის სნაიპერების იარაღი, ავტომატები, პისტოლეტები. სწორედ პისტოლეტების ნაკლებობა გვაქვს ლუგანსკის რესპუბლიკაში იმისთვის, რომ პატრული შევაიარაღოთ. იქნება ასევე ხელყუმბარები. არ ვიცი, კიდევ რას გამოგვიგზავნიან. სავარაუდოდ, იქნება ჯავშანჟილეტები და ჩაფხუტები“, – აცხადებს ინტერნეტსაიტთან ე.წ. ლუგანსკის რესპუბლიკის მთავრობაში ანონიმური წყარო.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის თავდაცვის სამინისტროში. სააგენტო „რესის“ ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთს ლუგანსკში არავითარი იარაღი არ გაუგზავნია. მათივე განცხადებით, იარაღის გაგზავნა ტექნიკურადაც კი შეუძლებელია. „ლუგანსკში იარაღის შეტანა შეუძლებელია შესაბამისი შეთანხმების გარეშე – მესამე ქვეყნის ნებართვის გარეშე, კონკრეტულად კი, რუსეთის გავლით. ასეთი შეთანხმება არ არსებობს და მსგავსი საკითხი არც კი დგას“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოს მიგრაციის პოლიტიკა ექნება




საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, არ შეიძლება ქვეყანას, განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობით, არ ჰქონდეს მიგრაციის პოლიტიკა.

„ჩვენ დავიწყეთ ამის მოწესრიგება, ერთი რამ მინდა ვთქვა, ასოცირების ხელშეკრულება კი ითვალისწინებს ძალიან ბევრ რამეს, მაგრამ ამავე დროს ეს არის ისეთი თემები, რომელიც საქართველოს ისედაც უნდა მოეწესრიგებინა. ამის მოწესრიგება დავიწყეთ და ამას მივიყვანთ ბოლომდე, ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა, ყველა ქვეყანას აქვს მიგრაციის პოლიტიკა და ჩვენც გვექნება“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## საქალაქო სასამართლომ გიგი უგულავას ბრალი არ დაუმძიმა




თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა გიგი უგულავასთვის თბილისის განვითარების ფონდის საქმეზე აღმკვეთი ღონისძიების, გირაოს უფრო მძიმე ფორმით შეცვლასთან დაკავშირებით.

საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მაია შოშიაშვილის გადაწყვეტილებით, გიგი უგულავას სიდედრის, ნინო კილაძის ბინა, რომელიც გირაოს უზრუნველსაყოფად არის ჩადებული, ამ ეტაპზე აუქციონზე არ მიექცევა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლემ საქალაქო სასამართლოში მას შემდეგ გამოაცხადა, რაც პროკურატურის შუამდგომლობაზე დაცვის მხარის პოზიცია მოისმინა. დაცვის მხარის ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ პროკურატურის შუამდგომლობა უსაფუძვლოა და გიგი უგულავა ხელახალ წინასწარ პატიმრობაში თბილისის განვითარების ფონდის საქმეზე აღარ უნდა მიეცეს.

პროკურატურის შუამდგომლობაზე განცხადება გააკეთა თავად უგულავამაც. „პროკურორმა 13-ჯერ გაიმეორა, რომ ჩემი ხელახალი დაპატიმრების საჭიროება არსებობს. ერთსა და იმავეს იმეორებს, ეს არის ფსიქოლოგიური ტესტი. მოსამართლის გადასაწყვეტია, რამდენად შეძლებს ამ ბეწვის ხიდზე გასვლას. თუ არა სადისტური იდეები, რა უნდა გაწუხებდეს და რატომ უნდა მოითხოვო მეორედ დაპატიმრებას“, – აღნიშნა უგულავამ. (ინტერპრესნიუსი)

# უნივერსიტეტების აკრედიტაციებთან დაკავშირებული სკანდალური დოკუმენტი




უმაღლესი განათლება რომ სარფიან ბიზნესად იქცა, არავისთვის არ არის საიდუმლო. განათლება სწორედაც რომ სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტია. ბოლო წლების განმავლობაში, თუკი რამ პოზიტიური მოხდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო ის, რომ ადამიანებმა ინვესტიციის ჩადება დაიწყეს საკუთარი შვილების განათლებაში. თუმცა მნიშვნელოვანია რამდენად შეესაბამება უმაღლესი განათლების ხარისხი იმ ფულს, რომელსაც ხალხი იხდის.

როგორც ცნობილია, განათლების სამინისტროსთან არსებობს სსპ, იურიდიული ერთეული, „განათლების ხარისხის მართვის ცენტრი", რომელიც აკონტროლებს უნივერსიტეტების აკრედიტაცია-ავტორიზაციის საკითხებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. „განათლების ხარისხის მართვის ცენტრი" ქირაობს დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებიც გადიან ადგილებზე, აფასებენ უნივერსიტეტებს, რომლებმაც უნდა მიიღონ ავტორიზაცია-აკრედიტაცია, აფასებენ კურიკულუმებს, სილაბუსებს და ამ სილაბუსების საფუძველზე დებენ დასკვნას.

სააკაშვილის მმართველობის პირობებში მუდმივად იყო უმაღლესი სასწავლებლების შემცირების ტენდენცია და მკაცრი კონტროლი იმ მოთხოვნებზე, რომელიც იდგა უნივერსიტეტების წინაშე. ამ რეფორმამ უნივერსიტეტების მეპატრონეთა შორის თავის დროზე უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. მაშინდელი განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა ამ გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო განათლების მაღალი ხარისხისა და მისთვის საჭირო შესაბამისი ბაზის არსებობის აუცილებლობით ხსნიდა.

საქართველოში, ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში 26 ახალი უნივერსიტეტი შეიქმნა, მაგალითად, ისეთი, როგორიც არის ჰეიდარ ალიევის სახელობის უნივერსიტეტი მარნეულში. „ნიუპოსტის" ინფორმაციით, დღეს თითქმის არ ხდება უნივერსიტეტების სრულყოფილად შეფასება, აკმაყოფილებს თუ არა ის უნივერსიტეტისთვის საჭირო კრიტერიუმებს.

არსებობს მთავარი – ფინანსური ინტერესები, კერძოდ, 2000-კაციანი უნივერსიტეტი, ეს არის 4,5 მილიონის ბიუჯეტი, რომელიც მხოლოდ სტუდენტების გადასახადიდან შემოდის. ყველაზე მინიმალური გადასახადი უნივერსიტეტში დღეს არის 2250 ათასი ლარი, 2000 სტუდენტის შემთხვევაში ეს იძლევა როგორც ალვნიშნეთ 4,5 მილიონ ლარს. აქედან ხარჯი არ აღემატება 50%.

რაც შეეხება აბიტურიენტების რაოდენობას და სჭირდება თუ არა ქვეყანას დამატებით 26 აკრედიტებულ-ლიცენზირებული უნივერსიტეტი? წელს პირველად საქართველოში 10 ათასი პროფიციტი იყო ადგილების, დაახლოებით 35 ათასი აბიტურიენტი აბარებდა, ხოლო სულ იყო 45 ათასი ადგილი. 10 ათასი ცარიელი ადგილი, ნიშნავს იმას, რომ, თუკი ის ვერ შეივსება, ბუნებრივია, უნივერსიტეტები განათლების სამინისტროდან ფინანსურ ანაზღაურებას მოითხოვენ. ბუნებრივია, არსებობს კითხვა, რატომ არის ვალდებული სახელმწიფო ასეთ უნივერსიტეტს მისცეს ფული? ახალი ხელისუფლების პირობებში ბიუჯეტში ჩაიდო 24 მილიონი ლარი, ალნიშნული ინიციატივა უმრავლესობის წევრს, პარლამენტარ ივანე კილურაძეს ეკუთვნის. ალნიშნული თანხა უნდა გადანაწილდეს უნივერსიტეტებში. ამას ოფიციალურად ჰქვია „უმაღლესი სასწავლებლების წახალისების პროგრამა", თუმცა როგორ მოხდება ამის გადანაწილება, გაურკვეველია.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „ნიუპოსტის" ინფორმაციით, არსებული ახალი 26 უნივერსიტეტიდან რიგ მათგანს „პროტეჟეც" გამოუჩნდა. არსებობს „განათლების ხარისხის მართვის ცენტრის" მიერ ლიად გამოქვეყნებული დოკუმენტი, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი" №7, რომელიც თარიღდება 2014 წლის 24 ივნისით, სადაც ერთ-ერთი ექსპერტი თეა ნადირაძე პირდაპირ მიუთითებს, რომ მასზე განხორციელდა არაერთი ზეწოლა, ადგილი ჰქონდა პარლამენტარების მხრიდან სატელეფონო ზარებს, სადაც მიუთითებდნენ რომ ერთ-ერთ უნივერსიტეტს „კარგად მოქცეოდა". ექსპერტი უმრავლესობის წევრის, პარლამენტარ ელისო ჩაფიძის მხრიდან განხორციელებულ ჩარევაზეც მიუთითებს.

გთავაზობთ ამონარიდს სხდომის ოქმიდან:

„თეა ნადირაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ის აპირებდა განცხადების გაკეთებას და მოითხოვა აღნიშნული განცხადების დაფიქსირება საბჭოს სხდომის ოქმში. თეა ნადირაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მხრიდან მისთვის მიუღებელი იყო ობიექტურობაზე საუბარი, როდესაც მას მთელი დღის განმავლობაში ურეკავდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები და პირდაპირ უთითებდნენ ავტორიზაციის ექსპერტს, რომ შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას მოქცეოდა კარგად. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ის მიმართავდა ცენტრს, საბჭოს წევრებს, რომ მოქმედი ხელისუფლების პირობებში უკვე მესამედ მოხდა მსგავსი შემთხვევა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მხრიდან ეს იყო პროვოკაცია. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მისი მხრიდან არანაირ პროვოკაციას არ ჰქონდა ადგილი. თეა ნადირაძემ მაგალითისთვის დაასახელა საქართველოს პარლამენტის წევრი ელისო ჩაფიძე, რომელმაც ექსპერტთან განხორციელა სატელეფონო საუბარი, ასევე, იყო სხვა შემთხვევაც, როდესაც საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი წევრი ცენტრში ექსპერტთან შესახვედრად იყო მოსული. თეა ნადირაძემ განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა არსებულიყო შესაბამისი ვიდეოჩანაწერი. ნადირაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრობის მანდატი არავის არ აძლევს იმის უფლებას, რომ ისარგებლოს განუსაზღვრელი უფლებამოსილებით, კერძოდ, დასკვნის ცენტრში ჩაბარებამდე ავტორიზაციის ექსპერტზე განახორციელოს ზეწოლა. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების დროს, მსგავს ერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მაშინ როდესაც, მოქმედი ხელისუფლების დროს სახეზე იყო უკვე მესამე შემთხვევა. მან პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომის დარბაზი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოხდა საკითხის პოლიტიზება და ექსპერტის აღნიშნული განცხადება არანაირ კავშირში არ იყო შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელი იყო საკითხის პოლიტიზება".



„ნიუპოსტი" დეტალების გასარკვევად ელისო ჩაფიძეს დაუკავშირდა, რომელიც სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. თუმცა მოგვიანებით, „რუსთავი 2"-თან სატელეფონო საუბარში ჩაფიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთან არც ერთი ზარი არ განუხორციელებია, „ეს არის მტკნარი სიცრუე. ძალიან მინდა, რომ ქალბატონმა თეამ თავის დიპლომი წარმოადგინოს, რა განათლება აქვს მიღებული", – აცხადებს ჩაფიძე.

„ნიუპოსტი" ამის შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტს თეა ანდრიაძეს დაუკავშირდა, რომელიც ადასტურებს, რომ ელისო ჩაფიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა მითითებებს. თუმცა სხვა დეპუტატის ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებს და ამბობს, რომ „ის არის პატიოსანი ადამიანი.

კომენტარის გაკეთება არ ისურვა ვიტა ჯორჯიას რექტორმა. თამარ გელიაშვილი საერთო უარყოფს რაიმე სახის კავშირს ელისო ჩაფიძესთან.

ოქმის მიხედვით თეა ნადირაძემ სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა, 9 წევრისგან შემდგარმა საბჭომ კი მისი ანგარიში გაითვალისწინა და შპს სასწავლო ცენტრს ვიტა ჯორჯიას ავტორიზაციაზე უკვე მეორედ უთხრა უარი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მთავრობამ მოსამართლეთა შეფასების კრიტერიუმები დაამტკიცა



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ცნობით, მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში, 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეები ამ პერიოდის განმავლობაში 6-ჯერ შეფასდებიან. შეფასების სისტემა პირველ რიგში იმ მოსამართლეებს შეეხებათ, რომლებიც ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღებიდან მოყოლებულნი დაინიშნენ.

„ჩვენ შემოგვაქვს სისტემა, რომლის თანახმადაც, ასეთი მოსამართლეები 3-წლიანი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ყოველ წელს, 2 შემფასებლის მიერ შეფასდებიან. დაიდება 6 დასკვნა და მათ საფუძველზე, იუსტიციის საბჭო ხმების 2/3-ის უმრავლესობით გადაწყვეტს, ესა თუ ის მოსამართლე არის თუ არა ამ მანტიის ტარების ღირსი. შეფასების კრიტერიუმი იქნება როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული, რათა მართლმსაჯულებაში მთელი სიცოცხლის განმავლობაში გამოირიცხოს ისეთი კანდიდატების დანიშვნა, რომლებიც ან კორუმპირებულები იქნებიან, ან კანონები არ ეცოდინებათ, ან რაც ყველაზე მთავარია, არ იციან, როგორ მოიქცნენ სასამართლო დარბაზში და როგორ დაასაბუთონ საკუთარი გადაწყვეტილებები", – განაცხადა წულუკიანმა.

მინისტრის თქმით, 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით ამჟამად 12 მოსამართლეა დანიშნული.

„იქნება ძალიან მკაცრი ფილტრი, რომ ახლად დანიშნული მოსამართლე მუდმივად დანიშნული არ გახდეს ისე, რომ არ იცოდეს საქმის კეთება, არ იყოს მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და არ იმსახურებდეს მოსამართლის მანტიას. ეს იქნება ერთ-ერთი ქვაკუთხედი ჩვენი მართლმსაჯულების რეფორმის. ეს კანონპროექტი მთავრობამ დაამტკიცა და იმედი გვაქვს ახლა, რომ ამ კანონპროექტს პარლამენტი კანონად აქცევს", – განაცხადა წულუკიანმა. (რეპორტიორი)

## „სააკაშვილის პასუხისგებაში მისაცემად, აუცილებელია სისტემური დანაშაულის გამოკვეთა"



ექსპერტი კახა კახიშვილი, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესს ეხმაურება, რომლის ფარგლებშიც, საზოგადოება, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვას ითხოვს.

„წელიწადი და რვა თვე გავიდა ხელისუფლების ცვლილებიდან. ამის მიუხედავად, დღემდე ვერ გამოიკვეთა სისტემური ტიპის დანაშაული. ვერც ერთმა გამომძიებელმა, გამოძიების ფარგლებში, ვერ გამოკვეთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ჩართული იქნებოდა დანაშაულებრივი სისტემის შექმნაში. ეპიზოდური ბრალდებებით არიან დაკავებულები...

26 მაისის ეპიზოდთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა მხოლოდ ვანო მერაბიშვილს დაეკისრა. ვინმეს სჯერა, რომ მხოლოდ ვანო მერაბიშვილმა გადაწყვიტა იმ ფორმით მიტინგის დარბევა? რომ არ ყოფილიყო პროკურატურის მხარდაჭერა იმ პოლიციელების „გაპრავების" საკითხში, რომლებიც დარბევაში მონაწილეობდნენ, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმეოდა თავის დროზე! რომ არ ყოფილიყო სასამართლოს ხელის შეწყობა, მერაბიშვილი მარტო ამ ყველაფერს შეძლებდა? არ მჯერა, რომ ამ ქვეყანაში, სააკაშვილისა და ადეიშვილის გარეშე შესაძლებელი იყო მიტინგის იმ სახით დარბევა...

ფარული ჩანაწერების 27 ათასი ფაილი აღმოაჩინეს და სააკაშვილმა განაცხადა, მეგის ქარდავამ გააკეთაო, ალბათ. ვინმეს სჯერა, რომ ამას მეგის ქარდავა დამოუკიდებლად გააკეთებდა? ამაში „ნაციონალური მოძრაობის" მთელი ხელმძღვანელობა იყო ჩართული. ამის მიუხედავად, გამოძიება, დაბალი დონიდან მაღლა არ ასულა.

იმისთვის, რომ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენო ოდესღაც და შემდგომში არ გახდე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კრიტიკის მსხვერპლი, საჭიროა ისეთი ტიპის დანაშაულის გამოკვეთა, სადაც თავად საერთაშორისო საზოგადოება დაგეთანხმება, რომ აუცილებელია სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. ეპიზოდური ბრალდებებისთვის, როგორიც იყო ვაშლის გათლა, ერთი მილიონის გაფლანგვა, ასეთი ტიპის ბრალდებებისთვის, საერთაშორისო საზოგადოება ვერ გაიგებს, რატომ უნდა იყოს სააკაშვილი პასუხისგებაში მიცემული. მით უმეტეს, როცა ახალაია და კეზერაშვილი ვერ ჩამოიყვანეს, როგორ გგონიათ, სააკაშვილს ჩამოიყვანენ? რა თქმა უნდა, ვერ ჩამოიყვანენ. სააკაშვილი რომ პასუხისგებაში მისცენ, ამისთვის აუცილებელია სისტემური დანაშაულის გამოკვეთა, რომელიც დაკავშირებულია წამებასთან და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან. რა თქმა უნდა, თუ არსებობს ამისთვის მასალები, უტყუარი მტკიცებულებები, შეძლებს ამის გაკეთებას პროკურატურა? მაშინ შესაძლებელი გახდება სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება!" – განაცხადა კახიშვილმა. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# როდის გახდება ნარმანია ოფიციალურად თბილისის მერი?

## და რომელ დღეს მიიღებს მოქალაქეებს?





თბილისის საკრებულოს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. გუშინ ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა და საკრებულოს თავმჯდომარე 37 ხმით გახდა „ქართული ოცნების" წევრი, 55 წლის გიორგი ალიბეგაშვილი, 8 დეპუტატმა მის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა. პოლიტიკაში მოსვლამდე გიორგი ალიბეგაშვილი სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა, იყო ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ბოლოს კი საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. „ალია" საკრებულოს ახალ თავმჯდომარესთან ინტერვიუს ჩაწერას შეეცადა, განსაკუთრებით გვაინტერესებდა, როგორ მოხვდა მეცნიერი კაცი პოლიტიკაში, მაგრამ ალიბეგაშვილმა მოუცლელობის მიზეზით ჩვენთან საუბარი ვერ შეძლო: „დიდი ბოდიში, მაგრამ ძალიან მეჩქარება, გავრბივარ საქმეზე. სხვა დროს, კი ბატონო, სიამოვნებით, ვისაუბროთ. რაც შეეხება თქვენს კითხვას, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ 2012 წელს, როცა „ქართული ოცნება" დაფუძნდა, იმ დღიდან ვარ ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი".

ამბობენ, რომ ალიბეგაშვილი წესიერი კაცია და სადაც მუშაობდა, ყველგან დიდად აფასებდნენ, თავის დროზე „ნაცმოძრაობას" არ გაურიგდა და სახელმწიფო უნივერსიტეტიც ამის გამო დატოვაო. ღმერთმა ქნას, ამჯერად მაინც გვყავდეს ნორმალური, თბილისელებზე მზრუნველი საკრებულოს თავმჯდომარე. თბილისის საკრებულოსა თავმჯდომარის პირველ მოადგილედ გიორგი ტყემალაძე აირჩიეს, პარლამენტარ ზურაბ ტყემალაძეს შვილი. ის საკრებულოს წინა მოწვევის დეპუტატიც იყო. გუშინ მხოლოდ ეს ორი საკითხი განიხილა საკრებულომ, დანარჩენს ამ კვირაში განიხილავს და საკრებულოს კომისიათა ხელმძღვანელებსა და ფრაქციების თავმჯდომარეებს აირჩევენ.

ძალიან გვაინტერესებდა, რას აპირებს საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, ირაკლი შიხიაშვილი, რომელმაც უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს თბილისის მუნიციპალური ფონდის ხელმძღვანელად ინიშნება. შიხიაშვილს მთელი დღის მანძილზე ვურეკავდით, მაგრამ ტელეფონი გათიშული ჰქონდა.

თბილისის მერის მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა დავით ნარმანია, რომელიც „ქართული ოცნების" ცენტრალურ შტაბში ზის და იქ მუშაობს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნებიან ნარმანიას მოადგილეები, მერიის სამსახურების უფროსები, თბილისის 10 რაიონის ახალი გამგებელი და ასევე, რომელ დღეს დანიშნავს მოქალაქეთა მისაღებად. დავით ნარმანიას საარჩევნო შტაბის წარმომადგენელმა, მაგდა პოპიაშვილმა „ალიას" განუცხადა, რომ საკადრო საკითხებზე მუშაობა მიმდინარეობს და ეს ყველაფერი საზოგადოებისთვის დროულად გახდება ცნობილი. პიპიაშვილის თქმით, მერთან მოქალაქეებთან მიღების გრაფიკი და დეტალები ზუსტდება.

ვიდრე ცესკო არ გამოაქვეყნებს თბილისის მერის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს, დავით ნარმანიას მანამდე მოუწევს „ქართული ოცნების" შტაბში მუშაობა. ცესკო-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ქეთი დანგაძემ განგვიმარტა, რომ კანონის თანახმად, ცესკო ვალდებულია, არჩევნებიდან 15 დღეში გამოაქვეყნოს მეორე ტურის შემაჯამებელი ოქმი, თუმცა დანგაძე არ გამორიცხავს, რომ ეს გაცილებით ადრეც მოხდეს. არჩევნები 12 ივლისს ჩატარდა და ყველაზე გვიან, 27 ივლისს დაიდება ცესკო-ს ვებ-გვერდზე შემაჯამებელი ოქმი და ამ დღიდან დავით ნარმანიას უკვე ოფიციალურად შეეძლება, მერიაში დაჯდეს და იქიდან განახორციელოს მერის უფლებამოსილება.

ლევან ჯავახიშვილი
5 77 51-73-37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# მასშტაბური სტუდენტური დასაქმება იწყება — დეტალები პროექტის შესახებ



სტუდენტები კიდევ ერთი დასაქმების პროგრამის მოლოდინში არიან. ამჯერად ისინი მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროცესში ჩაერთვებიან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ერთობლივი პროექტი ნოემბერში დაიწყება, მანამდე კი ხანგრძლივი შერჩევის პროცესია დაგეგმილი.

**ოთარ აბესაძე, განათლების მინისტრის მრჩეველი:**

– მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 10 წელიწადში ერთხელ ხორციელდება, საქართველოში ეს პროექტი წელს ტარდება. სწორედ აქედან გამომდინარე, სამინისტრომ „საქსტატთან" გააფორმა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც საქართველოში არსებული ყველა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტი დასაქმდება. თითო ფაკულტეტზე კი მინიმუმ რამდენიმე ათეული სტუდენტი, საშუალო კვოტირებით თითო ფაკულტეტზე საუბარია 30-დან 60 სტუდენტამდე. ფაკულტეტები რეკომენდაციას გაუწევენ იმ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება და ქულები. ყველა უნივერსიტეტზე გაცემულია გარკვეული ტიპის კვოტა. პირობითად, დავუშვათ თსუ-ს რომელიმე ფაკულტეტზე უნდა დასაქმდეს 40 სტუდენტი. უმაღლესი არჩევს საუკეთესოებიდან პირველ 40-ს. დანარჩენებს შეუძლიათ, რომ ჰრ.გოვ.გე-ს საშუალებით დარეგისტრირდნენ და დასაქმდნენ. სისტემა არის შემდეგი – ფაკულტეტი აწვდის რექტორს რეკომენდებული სტუდენტების სიას, რექტორი – ჩვენ, ჩვენ კი – „საქსტატს". სტუდენტებს არჩევს უნივერსიტეტი და არა სამინისტრო, ჩვენ უბრალოდ ამ ყველაფერს აკუმულირებას ვუკეთებთ და ვაძლევთ „საქსტატს", რომ სტუდენტი დაასაქმოს.

**— რა სამუშაო ექნებათ სტუდენტებს შესასრულებელი და რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პროექტი?**

– სამუშაო ჩატარდება 5-19 ნოემბერს. მანამდე ერთი კვირა იქნება ტრენინგები, რომელსაც „საქსტატი" ჩაატარებს. 1-19 ნოემბრის ჩათვლით, ყველა დასაქმებულ სტუდენტს გაცდენა ჩაეთვლება საპატიოდ, რადგან მათ ექნებათ სრული სამუშაო გრაფიკი – 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროექტის მონაწილეები მოსახლეობის აღწერას იმ ტერიტორიაზე ჩაატარებენ, სადაც მათი ფაქტობრივი მისამართია. პირობითად, თუ სტუდენტი ცხოვრობს თბილისში, მიცკევიჩის ქუჩაზე, მისი ტერიტორია იქნება მიცკევიჩის ერთ-ერთი ზონა, რომ არ ჰქონდეს ტრანსპორტის პრობლემა. თითოეული სტუდენტი ვალდებული იქნება 2 კვირაში 120 ოჯახი აღწეროს, დღეში, საშუალოდ, 8 ოჯახი, რაც სავსებით ნორმალურია, მაგრამ ამავდროულად ძალიან საპასუხისმგებლო. ვინაიდან თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა საშუალოდ 35-40 წუთია. მე მინდა ყველა სტუდენტმა იცოდეს, რომ ეს არ არის სუმმერ ჯობის ტიპის დასაქმება, ეს არის სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი და აქ თითოეული შევსებული გრაფა ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, სასურველია, რომ დასაქმებულები ამ საკითხს ძალიან დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდონ.

**— რით განსხვავდება ეს პროექტი სუმმერ ჯობ-ისგან და რა ანაზღაურებას მიიღებენ სტუდენტები?**

– მათ შორის ფუნდამენტური განსხვავებაა. სუმმერ ჯობ წინასაარჩევნოდ დაგეგმილი პოპულისტური პროექტი იყო, სადაც სტუდენტების უმრავლესობას არც კი შეუსრულებია სამუშაო, ისე მიიღეს ანაზღაურება. რაც შეეხება ჩვენს პროექტს, ეს არის სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, რომელიც ტარდება 10 წელიწადში ერთხელ, რის საფუძველზეც გავიგებთ, რამდენი ვართ, რამდენი ემიგრანტია საქართველოში და ა.შ. სტუდენტები ჩაერთვებიან ამ პროცესში, აიმაღლებენ კვალიფიკაციას და მიიღებენ ანაზღაურებას 400-დან 500 ლარამდე. („საქსტატის" ინფორმაციით, თანხა დასაზუსტებელია).

**— როდიდან დაიწყება რეგისტრაცია და რა პროცედურებს გაივლიან სტუდენტები?**

– რეგისტრაცია ჰრ.გოვ.გე-ზე უკვე დაწყებულია. რაც შეეხება ფაკულტეტების მიერ შერჩეულ კანდიდატებს, მაღალი შედეგების მქონე სტუდენტებს სასწავლებლიდან ივლისის ბოლოს დაუკავშირდებიან. მათ უნდა შეავსონ სპეციალური ბლანკი, წარმოადგინონ ჩV, ანუ ავტობიოგრაფია, დეკანის რეკომენდაცია სპეციალური დრაფტით, ასევე, პირადობის ასლი და საბანკო რეკვიზიტები, რომელზეც ანაზღაურება ჩაერიცხებათ. ყველა ეს დოკუმენტი დარჩება დეკანატში, რის შემდეგაც, 30 ივლისამდე, ყველა უნივერსიტეტი ამ ინფორმაციას ჩვენ მოგვაწვდის. მაღალი შედეგების მქონე სტუდენტების შერჩევა და შეფასება გასული წლის მონაცემებით მოხდება.

**— რამდენად გარანტირებული აქვს მაღალი შედეგების მქონე სტუდენტს, რომ ის დასაქმდება და ვინ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას?**

– შესაძლებელია, ბავშვს ჰქონდეს მაღალი მოსწრება, მაგრამ არ გააჩნდეს ისეთი კომუნიკაციის უნარი, რომელიც ოჯახში შესვლისას, ჩასატარებელი სამუშაოებისთვის გამოდგება. ამ შემთხვევაში, პირობითად, თუ ფაკულტეტზე 40 სტუდენტია განაწილებული, ჩვენ ვითხოვთ 60 სტუდენტის სიას, იმისთვის, რომ დავტოვოთ ეს შუალედი ასარჩევად. საბოლოოდ ის 40 სტუდენტი აუცილებლად დასაქმდება. ინდივიდუალურ გასაუბრებას იმ სამუშაოს უნარებზე, რომლებიც სტუდენტებს დასჭირდებათ როგორც ინტერვიუერებს, „საქსტატი" ჩაატარებს. რაც შეეხება სამინისტროს ჩართულობას, სამინისტრო აკონტროლებს გასაუბრების პროცესს, ასევე დასაქმებულების რაოდენობას. (ნიუპოსტი. წყარო: ედუ.არის.გე)

## „გაბუნია ვინც კიდე ჟიურში დასვას, „ნიჭიერში“ ან სადმე, მე იმის პატრონი და სუყველაფერი მოვან“




„X-ფაქტორ“-ის მონაწილე ნიკა შერმაზანიშვილი გიორგი გაბუნიას სოციალურ ქსელში უპირისპირდება.

– გაბუნია ვინც კიდე ჟიურში დასვას, ან „ნიჭიერში“, ან სადმე, მე იმის პატრონი და სუყველაფერი მოვ**ან, – წერს შერმაზანაშვილი.

*newposts.ge*

## პრეზიდენტის ქალიშვილმა თიკა ჯამბურია და ბექა ხოფერია შეარიგა?



საქართველოს პრეზიდენტის ქალიშვილმა – ანა მარგველაშვილმა „ფეისბუკზე“ თიკა ჯამბურიასთან და ბექა ხოფერიასთან ერთად გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა. ახალგაზრდები ერთმანეთს „თბილისი სუმმერ სეტზე“ შეხვდნენ. „წლის სკანდალი“, – წერს ფოტოზე თიკა ჯამბურია.

სურათის გამოქვეყნების შემდეგ ჭორი გავრცელდა, რომ ყოფილი ცოლ-ქმრის შერიგება ანა მარგველაშვილმა მოახერხა.

თიკა ჯამბურია:

– მე და ბექა ერთად მოვხვდით საღამოზე. ის თავის მეგობრებთან ერთად იყო, მე – ჩემი. როგორც იცით, ბექასთან ვმეგობრობ და სურათი გადავიღეთ. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა... ზუსტად ვიცოდი, რომ ფოტო სადმე თუ გამოჩნდებოდა, ჟურნალისტები კუდებს მოაბამდნენ. ანი მარგველაშვილს დიდი ხანია, ვიცნობ. მაგრამ რომ გითხრათ, ახლო მეგობრები ვართ-მეთქი, მოგატყუებთ.

*reitingi.ge*

## კახა კინწურაშვილი შვილის დაბადებას დაესწრო



მსახიობი და ტელეწამყვანი კახა კინწურაშვილი გუშინ მამა გახდა. პატარას კახამ და მისმა ცოლმა მზიკამ იოანე დაარქვეს.

ბავშვი სამშობიარო სახლ „ჰერაში“ გაჩნდა და კახა მის დაბადებას თავისი სურვილით დაესწრო. დღეს კი, პატარას სამშობიაროში ლოგინი, ცოლს კი ყვავილები მიართვა.

*primetimenews.ge*

## ანუკა არეშიძე: „გმირი ვარ, თუმცა გოგო მაინც მინდა“



ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის დიზაინერმა მეუღლემ სოციალურ ქსელში მესამე შვილის – ვაჩე კალაძის ფოტო გამოაქვეყნა.

წყვილს სამი ვაჟი ჰყავთ და მესამე – ვაჩე ანუკას რამდენიმე თვის წინ შეეძინა. ვაჩეს ფოტოს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა და ბავშვს ბედნიერება და ჯანმრთელობა უსურვა.

– მადლობა ყველას, მე მგონი, მართლა გმირი ვარ, თუმცა გოგო მაინც მინდა, – წერს ანუკა არეშიძე.

*etanews.ge*

## შორენა ბეგაშვილის ქალიშვილის სილამაზეს უკვე განიხილავენ – დაჩრდილა თუ არა ევამ დედის სილამაზე?



დაჩრდილავს თუ არა ევა დედის სილამაზეს, რამდენიმე წელიწადში? გაუწევს კი შვილი დედის ფიზიკურ მონაცემებს კონკურენციას? ეს კითხვები სოციალურ ქსელში უკვე აქტიურად განიხილება.

„ფეისბუკის“ მომხმარებლები აღნიშნავენ, რომ გოგონა დედას ძალიან ჰგავს და მას პერსპექტიულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

„100% ვიცი, რომ დედას აჯობებს“, – წერენ სოციალურ ქსელში.

უნდა აღინიშნოს, რომ ევა ბარბაქაძე მართლაც ძალიან ლამაზი გოგონაა, თუმცა ამ ეტაპზე, რამდენად შესაძლებელია მათი სილამაზის შედარება, ეს თქვენ განსაჯეთ.

*itv.ge*

## ანი გიუნტერი: „გერმანელების გულშემატკივრობა გენებით გადმომეცა“



– ისეთი გახარებული ვარ, რომ ემოციებისგან ვარ დაცლილი... 90-იანი წლებიდან მახსოვს სახლში კედელზე გაკრული დიდი პლაკატი, სადაც გერმანიის ნაკრები თასით ხელში იყო აღბეჭდილი. ამ გუნდს იქიდან მოყოლებული ვგულშემატკივრობ და ვოცნებობდი, რომ ამ თასით ხელში გერმანიის ნაკრები კიდევ ერთხელ მენახა. ამ ჩემპიონატს სხვა წლებთან შედარებით, მშვიდად და დინჯად ვუყურებდი. ალბათ, იმიტომ, რომ უკვე დედა ვარ, სხვა საზრუნავიც მაქვს, მაგრამ ფინალის ყურებისას იმხელა სტრესი მქონდა, რომ მართლა ვერ ვუძლებდი. საშინლად დაძაბული ვიყავი.

რომ გავიმარჯვეთ, პირველი, რაც გვაკეთე, ჩემს ძმას მივვარდი და გადავეხვიე. მერე დედაჩემის აცრემლებული თვალები დავინახე, ჩემი და კი მთელი თამაშის მანძილზე გაიძახოდა, მატჩს არავინ მიიყვანს პენალტების სერიებამდეო...

სამწუხაროდ, ასეა, როცა ერთი იმარჯვებს, მეორე აგებს. ასე რომ, ახლა ჩემი გამარჯვების სიხარულის დროა...

*ambebi.ge*

## ანრი ჯოხაძე: „ვისთვისაც ადამიანის გეოგრაფიული წარმომავლობა ნაკლია, ყველა მაღალ დონეზე დამასკდეს“



მომღერალი ანრი ჯოხაძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ეხმაურება.

როგორც ჯოხაძე წერს, მას რამდენიმე დღეა ჟურნალისტები ეხმიანებიან და არჩევნებთან დაკავშირებით კითხვებს უსვამენ.

– ეს დღეებია რამდენიმე ჟურნალისტი მეხმიანება მერის არჩევნებთან დაკავშირებით და კითხვები ფრიად გამაოგნებელია!!!

არასოდეს ვარჩევ ადამიანებს წარმომავლობის მიხედვით, არსებობენ ძირძველი თბილისელები განუკურნებელი პროვინციალიზმის სინდრომით, ასე რომ გაიგეთ, ჩემთვის არ არის პრობლემა, დავით ნარმანია საიდან არის წარმოშობით.

დედაჩემი დაიბადა ოზურგეთის რაიონში გაიზარდა ბათუმში...

ჰოო და ვისთვისაც ადამიანის გეოგრაფიული წარმომავლობა ნაკლია ყველა მაღალ დონეზე დამასკდეს!!!

*news.ge*

## ვახტანგ რჩეულიშვილი: „მაიას ედუარდ შევარდნაძის მობილური ტელეფონიდან დაურეკეს“



ყოფილი პარლამენტარი ვახტანგ რჩეულიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს, რომ მისი მეუღლე, მაია რჩეულიშვილი ყოფილ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ბოლოს ორი კვირის წინ ესაუბრა.

– მაია მისი ყველაზე დიდი მეგობრის, ედუარდ შევარდნაძის გასვენებას ვერ დაესწრო. ძალიან მძიმედ განიცადა მისი სიკვდილი, მაგრამ საბოლოოდ გაითიშა, როცა დილის 9 საათზე დაურეკეს ედუარდ შევარდნაძის მობილური ტელეფონიდან! ნომერს რომ დახედა გაფითრდა! ედუარდი მირეკავსო! თურმე ბატონი ედუარდის მდივანი რეკავდა მოსაწვევების საკითხზე. 2 კვირის წინ შედგა მათი უკანასკნელი საუბარი. „**Майя, я обожаю тебя!**“ ასე დაემშვიდობა დიდი ედუარდი დიდ (თუ გნებავთ პატარა) მაიას!, – წერს რჩეულიშვილი.

*pia.ge*

## ნუცა ბუზალაძემ იურმალაში პირველი რეპეტიცია უკვე გაიარა



„ახალი ტალღა 2014“ ქალაქ იურმალაში სტარტს 22 ივლისს აიღებს. ცნობილია, რომ კონკურსზე საქართველო მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ უნდა წარადგინოს. მისი პროდიუსერები კახა მამულაშვილი და ლელა წურწუმია არიან. ნუცა და მისი პროდიუსერი – მამულიჩა იურმალაში 12 ივლისს ჩავიდნენ.

კახა მამულაშვილი:

– დილის 10 საათზე ჩამოვედით, საღამოს 9 საათამდე რეპეტიცია გვქონდა და ძალიან დავიღალეთ. ფაქტობრივად, საღამოს 10 საათზე დავიძინეთ... როგორც გაირკვა, ყოველდღიურად ასეთი რეჟიმი გვექნება. როგორც უკვე ვნახეთ და მოვუსმინეთ, წელს ძლიერი კონკურსანტები ჩამოვიდნენ. ახლა მთავრია ფსიქოლოგიური მზადყოფნა. ჩვენი კონკურსანტის ფონოგრამებით კმაყოფილები არიან. საოცარი განწყობაა. ნუცა უკვე ყველამ გაიცნო და ძალიან შეუყვარდათ. ჯერჯერობით ჩემოვედით ნუცა, ნუცას დედა და მე. ლელა და სოფო ხალვაში 19-ში ჩამოფრინდებიან.

*ambebi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



რესტორნიდან დაბრუნებულ გადამთვრალ ქმარს ცოლი კართან ცოცხით ხელში დახვდა.

ქმარმა დაუჩოქა და ქვითინი მორთო:

– გემუდარები, ეს უკანასკნელი იყო, არ გაფრინდე!!!

*****

მასწავლებელი კოტეს:

– რატომ გაქვს კარნახში ზუსტად ისეთივე შეცდომები დაშვებული, როგორც შენს მერხთან მჯდომ ნინიკოს?

– მასწ, ჩვენ ხომ ორივეს ერთი მასწავლებელი გვყავს?

*****

ცოლ-ქმარი კომერციული სექსის თემას განიხილავს:

– უცნობ მამაკაცთან 100 დოლარის სანაცვლოდ დაწვებოდი?

– რა სისულელეა, შენ რა, მეძავი გგონივარ?!

– და მილიონ დოლარად?

– რა სისულელეა, შენ რა, სულელი გგონივარ?!?!?!

*****



მაღაზიაში მანიაკი შევარდა, ყვირის:

– ახლა ვიღაცას გავაუპატიურებ!!! გოგონი, შენ რა გქვია? – ახალგაზრდა გოგოს მიუბრუნდა.

– ნინიკო...

– შენ ვერ გაგაუპატიურებ, დედაჩემს ერქვა ნინო... ოე, ჩვენი ძმა, შენ რა გქვია, – ახლა მამაკაცს ჰკითხა.

– კოტე, მაგრამ მეგობრები ნინიკოს მეძახიან ხოლმე...

*****

რესტორანთან ნასვამი მამაკაცი სამმა უცნობმა შეაჩერა:

– დროზე, ფული მოგვეცი!

– პრობლემა არ არის, – უპასუხა ნასვამმა, ჯიბეში ხელი ჩაიყო, მაგრამ ფულის ნაცვლად, პისტოლეტი ამოიღო, – აბა, დაწექით სამივე და გაცურეთ!!!

გაერთხა სამივე თავდამსხმელი ასფალტზე და იქნევს ხელებს. ბოლოს ერთ-ერთს მობეზრდა:

– სუფთა იდიოტი ხარ!

– კაი, კაცო!

– აბა, ასფალტზე ვინ ცურავს, გამოშტერდი?!

– ხმა ჩაიგდე, თორემ ჩაყვინთვა მოგიწევთ!!!

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## რომელი ცხოველებია ადამიანისთვის ყველაზე სახიფათო?



დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ბევრს ზუსტად არ ეცოდინება, რომელი ცხოველები უქმნიან ადამიანს ყველაზე დიდ საფრთხეს. არა, ცალ-ცალკე ალბათ, ჩამოთვლიან, მაგრამ აბა, რად გვინდა ასეთი წვალება, როცა საქმეში ჩახედული სპეციალისტები თავად გვირჩევენ, რას უნდა მოვერიდოთ ყველაზე მეტად და რას – არა.

დავიწყოთ უკუღმა და ნელ-ნელა საშიშთა შორის ყველაზე საშიშის ვინაობასაც შეიტყობთ:

10. ერთ პატარა და ციცქნა თევზს, სახელწოდებით – კანდირუ, რომელიც ამაზონის წყლებში ბინადრობს და რაღაცით წურბელას ჩამოჰგავს, შეუძლია შარდის ნაკადს აჰყვეს და მამაკაცს სასქესო ორგანოზე ისე უკბინოს, რომ მტანჯველი სიკვდილით უზრუნველყოს.



9. არსებობს ბაყაყის სახეობა, სახელწოდებით ბოთლზე მცოცველი, რომელიც იმდენად საშიშ შხამს ფლობს, რომ 10 ადამიანის წამიერად მოკვლა შეუძლია.

8. არანაკლებ დიდი ყურადღება მართებს ადამიანს ზღვის კრაზანასთან შეხვედრისას. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, საუბარია მედუზაზე, რომელსაც სპეციალისტებმა სწორედ „ზღვის კრაზანა“ შეარქვეს. ამ არსებას 60 ცალი 4,5 მეტრის სიგრძის საცეცები აქვს. თითოეულ მათგანზე 5 ათასზე მეტი შხამიანი უჯრედია, რომელთაგან თითოეული 60 ადამიანის მოკვლისთვისაა საკმარისი.



7. ძალიან ბევრი მონადირე კვდება კამეჩისგან და ის საშიში ცხოველების რეიტინგში მე-7 ადგილს იკავებს. სპეციალისტების თქმით, კამეჩი წარმოუდგენელი სისწრაფით გამოირჩევა და მტერს მიზანმიმართულად ესხმის თავს. ხშირად ისე ხდება, რომ ასეთი თავდასხმებისგან თავის დაცვას მონადირეები, უბრალოდ, ვერ ასწრებენ.

6. ღმერთმა არ ქნას და თუკი ისე მოხდა, რომ შორეული მოგზაურობისას თეთრ დათვს გადაეყარეთ, ნამდვილად არ ღირს მისი მოფერება. მას ზრდასრული ადამიანის ადგილზე მოკვლა უზარმაზარი თათის ერთი დარტყმითაც კი შეუძლია.



5. არც სპილო ყოფილა ისეთი კეთილი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მის უშველებელ ეშვებსა და უდიდეს მასას რამდენიმე ათასი ადამიანი ჰყავს შეწირული.

4. ყოველწლიურად ინდური კობრებისგან გაცილებით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე ნებისმიერი სხვა გველისგან.



3. ნიანგებს შორის ყველაზე საშიში ე.წ. ნიჩბისებრი ნიანგია, რომელიც ძალიან წააგავს ხის მორს და სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ყოფილა, რომ ბევრი ადამიანი ჩამომჯდარა მის წელზე დასასვენებლად...

2. ცხოველთა მეფე – ლომი ასევე ძალიან სახიფათო მტაცებელია, თუმცა იგი რეიტინგის მხოლოდ მეორე პოზიციას დასჯერდა.

1. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დათვებზე, სპილოებზე, ნიანგებსა და ლომებზე საშიში ადამიანისთვის... კოღოა. დიახ, დიახ, კოღო! სპეციალისტების თქმით, კოღო რამდენიმე ასეული დაავადების გადამტანია, სტატისტიკა კი იმაზე მეტყველებს, რომ სწორედ კოღოების გამო ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი კვდება.

***1001facts.info***

## ყინულით სახის გაწმენდა სახიფათო პროცედურა აღმოჩნდა



საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ დილაობით სახის წყლით დაბანას ყინულის კუბიკით გაწმენდა სჯობს, თუმცა, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ეს პროცედურა ქებას ნამდვილად არ იმსახურებს.

სპეციალისტების განმარტებით, პროცედურა საკმაოდ სახიფათოა, რადგან დაბალი ტემპერატურა სახისთვის გაცილებით მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე მაღალი.

ცნობილია, რომ ყინულის გამოყენებას ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ორგანიზმისთვის დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია, რასაც ვერ ვიტყვით კონკრეტულად სახეზე, რადგან მისი მგრძნობელობიდან გამომდინარე არსებობს ძალიან დიდი რისკი, რომ მოხდეს კაპილარების დაწყვეტა, საუკეთესო შემთხვევაში კი კანს ზემოთ მისი გამოჩენა, რაც, დაგვეთანხმებით, მშვენიერი სქესისთვის ნამდვილად უსიამოვნო შედეგია.

***myjane.ru***

## ჩინურ ზოოპარკში ვეფხვის ბოკვრები წიწილებს დაუმეგობრდნენ



ფაუნის წარმომადგენლებს შორის მეგობრობის დამყარების მორიგი ძალიან უჩვეულო ფაქტი ჩინეთის ქალაქ ტაიჩჟოუს ზოოპარკში, „ჟეიანგ ველინგში“ გამოვლინდა, სადაც მომვლელებმა ერთი თვის წინ დაბადებული ვეფხვის ბოკვრების გალიაში წიწილები შეუშვეს, მაგრამ რამდენიმე წუთში გაკვირვებულებმა აღმოაჩინეს, რომ მტაცებლებმა ჩვეული ინსტინქტი არ გამოავლინეს (რაც იყო კიდეც ექსპერიმენტის მიზანი) და ციცქნა სტუმრებთან მხიარული თამაში დაიწყეს.

– გვსურდა, მტაცებლის ინსტინქტები მათში პატარაობიდანვე გაგვეღვიძებინა, თუმცა ბოკვრებმა ძალიან გაგვაკვირვეს და წიწილებს დაუმეგობრდნენ, – განმარტავენ ჩინური ზოოპარკის ადმინისტრაციაში.

საინტერესოა, რომ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ბოკვრები და წიწილები კვლავ ერთად ცხოვრობენ და ჯერჯერობით, მათ შორის დამყარებული იდილია არ დარღვეულა.

***liveinternet.ru***

## მეხსიერების დაქვეითებას უჩივით? დამნაშავე შესაძლოა... კარები იყოს



ხომ იცით, ენას ძვალი არ აქვს და ყველაფრის თქმა შეუძლია. ჰოდა, რაც რამ უცნაურობა მოადგებათ ხოლმე ადამიანებს ენაზე, ყველაფერს ხმამაღლა ამბობენ.

თქვენი არ ვიცით და ჩვენ კი ნამდვილად ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ თითის ჩაყოლების გარდა, კარს ადამიანისთვის სხვა პრობლემების შექმნა შეეძლო. ყოველ შემთხვევაში, მეხსიერებას თუ დაუქვეითებდა, აბა, ამას როგორ ვიფიქრებდით?!

ასეა თუ ისე, ფრანგი ფსიქოლოგები მეხსიერების გაუარესების ერთ-ერთ მთავარ „შემოქმედად“ სწორედ კარს ასახელებენ.

კვლევის ფარგლებში სტუდენტები მეხსიერებასთან დაკავშირებულ გარკვეულ დავალებებს იღებდნენ. ამის შემდეგ ისინი ერთი ოთახიდან მეორეში უნდა შესულიყვნენ. შედეგად, კარის გაღება უწევდა, უფრო ხშირად ავიწყდებოდა, რისთვის დატოვა ერთი და რისთვის შევიდა მეორე ოთახში. რაც შეეხება მოხალისეებს, რომლებიც ოთახიდან არსად გადიოდნენ, მეხსიერებასთან დაკავშირებულ დავალებებს გაცილებით წარმატებით უმკლავდებოდნენ.

ამ გასაოცარ მოვლენას ფრანგი ფსიქოლოგები შემდეგნაირად განმარტავენ:

– კარის მიღმა გასვლა თავის ტვინის მიერ აღიქმება როგორც „ერთი მოვლენის დასრულება“, რომელიც მანამდე ხდებოდა. შედეგად, ინფორმაცია „მეხსიერების ბანკში“ გადადის. ამდენად, იმის გახსენება, რა იყო კარის ზღურბლზე გადაბიჯებამდე, უფრო რთულდება...

მოკლედ, ამ კვლევას თუ დავუჯერებთ, სახლშიც და სამსახურშიც ყველა კარი უნდა მოვხსნათ, მით უმეტეს, თუკი მეხსიერების მხრივ დიდად არ ვბრწყინავთ...

***tainamira.ru***

## ჩინელებმა მიტინგი წუნის მქონე... მაცივრების გამო ჩაატარეს



საპროტესტო აქციები როგორ ვინატროთ და ვისურვოთ, მაგრამ ჩინელების მსგავსი დემონსტრაციები რომ იმართებოდეს ჩვენთანაც, რაღა გვიჭირდა?

როგორც ირკვევა, პეკინში მიტინგი ჩატარდა, რომელიც „სიმენსის“ მიერ წუნის მქონე მაცივრების პარტიის გამოშვებამ გამოიწვია.

კერძოდ, აქციის მონაწილეების უკმაყოფილება მაცივრის კარმა გამოიწვია, რომელიც თურმე, ცუდად იკეტება.

ცნობილია მიტინგის მთავარი ლოზუნგიც, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: „უმჯობესია, „სიმენსმა“ კარი დაკეტოს“.

– იმის გამო, რომ მაცივრის კარი კარგად არ იკეტება, პროდუქტი მალე ფუჭდება, რაც ძალიან დიდი პრობლემაა, – აცხადებდნენ მიტინგის მონაწილეები.

პროტესტის ნიშნად მათ „სიმენსის“ მარკის რამდენიმე მაცივარი უროებით დალეწეს.

***lenta.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





110

1. სამარხი
2. კარლ მარქსის ნაშრომი
3. მისი დედაქალაქია რიგა
4. ქრისტიანთა წმინდა თასი
5. უკრემო ნამცხვარი
6. მომღერალი ეკა …
7. ქალაქი აშშ-ში
8. სოფიკო ჭიაურელი ფილმში „გენერალი და …“
9. შურისძიება სიცილიურად
10. მსახიობი ნანული …
11. ხილის წვენი
12. გამოუწვავი აგური
13. იგივეა, რაც პერგამენტი
14. სახელმწიფო სამხ. აზიაში. დედაქალაქია დაკა
14ა. ორგანიზმი ზღვის …
15. ციხესიმაგრე პარიზში
16. ინდური კაბა
17. გიორგი სააკაძის სოფელი
18. ფრანგული ვერცხლის ფული
19. ქალაქი გერმანიაში
20. ანტილოპას სახეობა
21. ფოთოლი კანადის დროშაძე
22. ამერიკული კოსმოს. ხომალდი
23. რუსი მხატვარი
24. ჯიმ კერი ფილმში „… შოუ“
25. მხ/ფ „პან …“
26. ზევსის მერიქიფე
27. ინის საპირისპირო
28. თინეიჯერი (ძვ.)
29. მთა თბილისში
30. ძაღლის ნაშიერი
31. ჯამის ფორმის სასმისი
32. მომღერალი … პიაფი
33. სოფოკლეს ტრაგედია
34. შოკოლადის ხის ნაყოფი
35. მსახიობი … ჟირარდო
36. მსახიობი ვიაჩესლავ …
37. მსახიობი ნანკა …
38. კუნძული საფრანგ. პოლინეზიაში
39. შვიდი დღე
40. ძველებური პატრუქიანი თოფი. იტენებოდა ლულიდან
41. მსახიობი … დეინსი
42. პოლიტიკოსი ბორის …
43. ყვავილი
44. მსახ. … მაკგრეგორი
45. სიმინდის ყვავილედი
46. ხრიკი, ანუ …
47. მწვანე ადგილი უდაბნოში
48. მსახიობი ამირან …
49. ტბა თბილისში
50. მეჩეთის კოშკი
51. გემის ზედა იატაკი
52. მსახიობი … ლონგორია
53. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
54. გოგოლის მოთხრობა
55. ინდიელების ვარცხნილობა
56. მსახიობი … მერფი
57. ავსტრალიური ველური ძაღლი
58. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
59. ხასიათი
60. მსახიობი ემანუელ …
61. ბრედ პიტი ფილმში
62. გიორგი დანელიას ფილმი
63. ხვავი
64. გულმკერდის ძვალი
65. პოეტი აკაკი …
66. რუმინული ფულის ერთეული
67. კომპოზიტორი არამ …
68. ხორცის კერძი
69. ვის სდევნიდა ინკვიზიცია
70. ნიორი, კიტრი, პომიდორი
71. გამის ნოტი
72. ოლიმპოს მთავარი ღმერთი
73. რეჟისორი მარტინ …
74. ქიმიური ელემენტი
75. … შეჯდა მწყერი ხესა
76. მსახიობი … გრანტი
77. შტატი აშშ-ში
78. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
79. იაპონური თაიგული
80. ძვირფასი ქვა
81. მომღერალი მირეი …
82. თვალის ფერადი გარსის ანთება
83. მშენებლის იარაღი
84. ცელქი
85. კაპიტანი, რომელსაც შვილები გემ „დუნკანით“ ეძებდნენ
86. სატელეგრაფო ანბანის ავტორი
87. სრული გამარჯვება ძიუდოში
88. მონღოლეთში: ოქროს …
89. ტენორი ბენიამინო …
90. მსახიობი ბრედ …
91. „თხა და …“
92. პირველი კოსმონავტი
93. კურორტი თურქეთში
94. მანძილი მუსიკ. ნოტებს შორის
95. ტარაკნის გარეგანი ჩონჩხი
96. ბრინჯის კერძი
97. მწერალი ჟიულ …
98. ყველაზე მტკიცე მინერალი
99. შხამიანი ობობა
100. სამიანი ნარდში
101. შექსპირის ტრაგედია
102. ძალიან იშვიათი ნივთი
103. ციტრუსი
104. დაბალფასიანი
105. ტელეკოშკი
106. მდინარე ორინოკოს ველი
107. კოვბოის ქამანდი
108. კავშირებითი სიტყვა
109. მტაცებელი ცხოველი სავანაში
110
111. ვერდის ოპერა
112. გეომეტრიული ფიგურა
113. ჟურნალისტი ინგა …
114. ვენეციური ნავი
115. ხელოვნური ენა
116. დასას - ვენებელი ბაღი
117. მდინარე რუსეთში
118. თვითმფრინავების სადგომი
119. სარწმუნოება ზოგადად
120. ჯუჯა სამეფო ევროპაში
121. ჰუნების ბელადი
122. მომღერალი … კუტუნიო
123. მსახიობი მაკოლეი …
124. ყვავილი
125. ბრაზილიელი ფეხბურთელი
126. მსახიობი … ემე
127. მომღერალი მარია …
128. მსახიობი … დე ვიტო
129. მომღერალი … მჟავია
130. „… არაბეთს როსტევან“
131. ქართ. ხალხური ზღაპარი
132. ოთარ იოსელიანის ფილმი
133. მხ/ფ „შინდლერის …“
134. ძალადობის გამოყენებ. პოლიტიკ. მიზნების.
135. მსახიობი … სმიტი
136. პერსონა …-გრატა
137. ფრინველის სამყოფელი
138. მტაცებელი ფრინველის ფრენა
139. სპორტის სახეობა

პასუხები: 1. მავზოლეუმი; 2. მანიფესტი; 3. ლატვია; 4. გრაალი; 5. ბისკვიტი; 6. კვალიაშვილი; 7. კლივლენდი; 8. ზიზილები; 9. ვენდეტა; 10. სარაჯიშვილი; 11. ჯუსი; 12. ალიზი; 13. ეტრატი; 14. ბანგლადეში; 14ა. ვარსკვლავი; 15. ბასტილია; 16. სარი; 17. ნოსტე; 18. ლივრი; 19. ლაიფციგი; 20. გნუ; 21. ნეკერჩხალი; 22. „შატლი“; 23. სავრასოვი; 24. ტრუმენის; 25. ვოლოდიევსკი; 26. განიმედი; 27. იანი; 28. ნინველი; 29. მახათა; 30. ლეკვი; 31. ფიალა; 32. ედიტ; 33. „ანტიგონე“; 34. კაკაო; 35. ანი; 36. ტიხონოვი; 37. კალატოზიშვილი; 38. ტაიტი; 39. კვირა; 40. არკებუზი; 41. კლერ; 42. ელცინი; 43. ტიტა; 44. ევან; 45. ტარო; 46. ოინი; 47. ოაზისი; 48. ამირანაშვილი; 49. ლისი; 50. მინარეთი; 51. გემბანი; 52. ევა; 53. „ოსკარი“; 54. „ვიი“; 55. იროკეზი; 56. ედი; 57. დინგო; 58. ორანგუტანგი; 59. ზნე; 60. ბეარი; 61. „ტროა“; 62. „მიმინო“; 63. ბარაქა; 64. ლავიწი; 65. წერეთელი; 66. ლეი; 67. ხაჩატურიანი; 68. რაგუ; 69. ერეტიკოსი; 70. ბოსტნეული; 71. სი; 72. ზევსი; 73. სკორსეზე; 74. აზოტი; 75. არა; 76. ჰიუ; 77. ნევადა; 78. ონდატრა; 79. იკებანა; 80. ონიქსი; 81. მატიე; 82. ირიტი; 83. თარაზო; 84. ონავარი; 85. გრანტი; 86. მორზე; 87. იპონი; 88. ურდო; 89. ჯილი; 90. პიტი; 91. გიგო; 92. გაგარინი; 93. ანტალია; 94. ინტერვალი; 95. ქიტინი; 96. ფლავი; 97. ვერნი; 98. ალმასი; 99. ტარანტული; 100. სე; 101. „ოტელო“; 102. რარიტეტი; 103. ლიმონი; 104. იაფი; 105. ანძა; 106. ლიანოსი; 107. ლასო; 108. რომ; 109. ლომი; 110. გიტარა; 111. „რიგოლეტო“; 112. რვალი; 113. გრიგოლია; 114. გონდოლა; 115. იდო; 116. სკვერი; 117. ოკა; 118. ანგარი; 119. რელიგია; 120. ანდორა; 121. ატილა; 122. ტოტო; 123. კალკინი; 124. ია; 125. კაკა; 126. ანუკ; 127. კალასი; 128. დენი; 129. ანანო; 130. იყო; 131. „ცეროდენა“; 132. „პასტორალი“; 133. სია; 134. ტერორიზმი; 135. უილ; 136. ნონ; 137. გალია; 138. ირაო; 139. გოლფი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## დიაგნოზი თმების მდგომარეობის მიხედვით



ექიმები ერთ ძალიან საინტერესო საიდუმლოს ამხელენ, რომელიც საშუალებას იძლევა, კონკრეტული ადამიანის ავადმყოფობა მისი თმების მდგომარეობის გათვალისწინებით გამოაშკარავდეს. რაც მთავარია, მეთოდი რთული სულაც არ არის და გარკვეული წარმატებების მიღწევას ალბათ, ყველა შეძლებს.

მსხვრევადი თმის ღერები გვამცნობენ, რომ ადამიანს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემები აწუხებს.

თმის ცვენის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ფარისებრი ჯირკვალი მთლად საუკეთესო მდგომარეობაში არ უნდა იყოს.

არასწორი კვების შედეგი შეიძლება გახდეს თმის ღერების დაბოლოებების დაყოფა, ხოლო თმის ნელი ტემპებით ზრდა ნერვული სისტემის სისუსტეებზე მიუთითებს.

იმ შემთხვევაში, თუკი თმა მოულოდნელად მუქდება, ორგანიზმი განიშნებთ, სასწრაფოდ ნაღვლის ბუშტსა და ღვიძლს უნდა მიხედოთ, თანაც სასწრაფოდ!

რაც შეეხება ჭაღარის გაჩენას, ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: დიდი რაოდენობით მარილის მიღება, სასქესო ჯირკვლების ფუნქციონირების მოშლა, მჟავიანობის მომატება და სისხლით გულის მომარაგების დანაკლისი.

*medportal.r*

## გვითხარით, როგორი ბუტერბროდი გიყვართ და გეტყვით, ვინ ხართ თქვენ...



ძალიან ბევრი რამ იცვლება დროთა განმავლობაში. ასე მაგალითად, თუკი უხსოვარი დროიდანაც კი ადამიანს მისი სამეგობრო წრის გათვალისწინებით შეიცნობდნენ, დღეს უკვე ამის გაკეთება ბუტერბროდითაც კი ყოფილა შესაძლებელი.

დიახ, სწორედ ბუტერბროდის დახმარებით ისწავლეს ბრიტანელებმა ადამიანის ხასიათის თავისებურებების დადგენა.



რამდენად შეიძლება მათი მეთოდის გათვალისწინება, თავს ნამდვილად ვერაფერზე დავდებთ, თუმცა დეტალებზე მაინც მოგიყვებით:

მაგალითად, ადამიანები, რომლებიც მაღალი ინტელექტუალური მაჩვენებლებით გამოირჩევიან, უპირატესობას ყველსა და პურს ანიჭებენ მარინადთან ერთად. მეოცნებეების არჩევანია ყველი და ლორი, მათთან ერთად კი – სალათი. მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი სიამოვნებით შეექცევა პურს მაიონეზთან და კვერცხთან ერთად.

კრევეტები შავ პურთან ერთად მგრძნობიარე ადამიანების არჩევანია, ქათამი კი ყურადღების ცენტრში ყოფნის ტრფიალების სისუსტეა. ძროხის ხორცს აქტიური და იმპულსური ადამიანები ირჩევენ, არისტოკრატები კი შიმშილის გრძნობას სიმინდით, თეთრი პურითა და თინუსით იკლავენ.

*woman.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**15 ივლისი:** თუ დღეს სისუსტეს იგრძნობთ, ან ჩათვლით, რომ რაღაცის ღირსი არ ხართ, ეს აზრი თავიდან ამოიგდეთ. დღეს საკუთარ თავში მყარად უნდა იყოთ დარწმუნებული.

**კურო 22.04-21.05**

**15 ივლისი:** თვითრეკლამამ შეიძლება ძალიან გაგიტაცოთ. წინდახედულად მოიქეცით, შეიძლება თქვენივე სიტყვები შეგახსენონ და მისი შესრულება მოგთხოვონ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**15 ივლისი:** შეიძლება თქვენი საღი აზრი გულის კარნახს იმდენად დაუპირისპირდეს, რომ წყობილებიდან გამოგიყვანოთ. თავი ხელში აიყვანეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**15 ივლისი:** მიზანი, რომელიც დაისახეთ, ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე დაბრკოლებები, რომლებსაც წააწყდებით. არავითარ შემთხვევაში არ შეჩერდეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**15 ივლისი:** თუ მაღაზიებში სიარული გიყვართ, ვინმე გაიყოლეთ, ვინც დროულად შეგაჩერებთ. შეიძლება ფული უსარგებლო ნივთებში დახარჯოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**15 ივლისი:** რაც უფრო ნაკლებს იფიქრებთ, როგორ მოიქცეთ და რა ილაპარაკოთ, მით უფრო კარგად გამოგივათ ყველაფერი.

**სასწორი 23.09-22.10**

**15 ივლისი:** ძალიან ფრთხილი უნდა იყოთ გამოთქმებში. შეიძლება ისეთი რამ წამოგცდეთ, რასაც სერიოზული უსიამოვნება მოჰყვება.

**მორიელი 23.10-21.11**

**15 ივლისი:** თუ არ იცით, ფული რაში დახარჯოთ, აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, ვინც მიგანიშნებთ. უცხოს არ დაუჯეროთ, შინაურს მიენდეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**15 ივლისი:** შეიძლება დღეს თქვენს ცხოვრებაში რაღაც პერიოდი დასრულდეს. შეეცადეთ, წარსულის გამოტირების ცდუნება დაამარცხოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**15 ივლისი:** ყველაფერი, რის გაკეთებასაც დღეს აპირებთ, გააზრებული უნდა გქონდეთ და რისკს არ შეიცავდეს. ფინანსებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი პრაგმატული უნდა იყოს.

**მერწყული 20.01-18.02**

**15 ივლისი:** საკმარისი დრო რომ გქონდეთ, კარგი იქნებოდა, თუ ყველაზე რთულ პრობლემატურ საკითხს განიხილავდით. თუ მოინდომებთ, დროსაც გამოძებნით.

**თევზები 19.02-20.03**

**15 ივლისი:** დღეს თქვენს მოთმინებას გამოცდა ელის. თქვენი წუხილის მიზეზი შეიძლება თქვენი ოჯახის წევრები აღმოჩნდნენ. მოაჩვენეთ თავი, რომ შეგუებული ხართ და შეგეშვებიან.

## როდის ხდებიან ძაღლები განსაკუთრებით აგრესიულები?



ყველამ მეტ-ნაკლებად კარგად იცის, რამდენად საშიშია აგრესიული ძაღლი, რადგან ძალიან დიდია ალბათობა, ამ აგრესიის მიზეზი ცოფი იყოს, რომელიც კბენის შედეგად, ბუნებრივია, ადამიანს გადაედება და...

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ სავსებით შესაძლებელია, ცოფიანობა არავითარ კავშირში არ იყოს ძაღლის აგრესიასთან, თუმცა ის მაინც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, როდის ხდება ყველაზე აგრესიული ადამიანის საუკეთესო მეგობარი.

მაშ ასე, ახალმა კვლევამ აჩვენა, რომ ძაღლები, რომლებსაც მამაკაცები ასეირნებენ, ოთხჯერ ხშირად ჩხუბობენ და იკბინებიან.

ჩეხი მეცნიერების ინფორმაციით, თუკი პატრონი ძაღლს ხშირად ასეირნებს თოკზე ან ჯაჭვზე გამობმულს, აგრესიულობა კიდევ უფრო მეტად იზრდება.

მოკლედ, ადამიანის საუკეთესო მეგობრის ქცევებზე მოქმედებს პატრონის როგორც სქესი, ისე ასაკი და კიდევ არაერთი დამატებითი ფაქტორი.

ჩეხმა სპეციალისტებმა, საერთო ჯამში, ორი ათასამზე ძაღლი შეისწავლეს და დაადგინეს:

პირველ რიგში, ძაღლი ყველაზე ხშირად თავს ესხმის და კბენს შემხვედრს მაშინ, როცა მისი პატრონი მამაკაცია. მეორე მიზეზია ჯაჭვი, რომელიც სეირნობისას ან თამაშისას ხელს უშლის და ეს აგრესიის გაჩენის დამატებითი მიზეზია.

ჩეხების მოსაზრებას ეთანხმებიან მათი ამერიკელი კოლეგებიც, რომლებიც განმარტავენ, რომ ძაღლებს საშინლად არ უყვართ, როცა მათ სირბილსა და თამაშში ხელი ეშლებათ. სტატისტიკის თანახმად, ყველაზე ხშირად კბენა სწორედ დაბმულმა ძაღლებმა იციან. რაც მთავარია, როცა იგივე კბენია ძაღლები თავისუფლად დარბიან, ადამიანებს, ფაქტობრივად, თავს არასოდეს ესხმიან.

*globalscience.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ქმარი მივლინებაში მიდის, ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, მე კარგა ხნით მივდივარ, შენ კი, ვიცი, სექსის გარეშე დიდხანს ვერ იქნები. ჰოდა, რომ არ მიღალატო, რობოტი გიყიდე... მირჩევნია, ეს რობოტი დაგიტოვო: კოტიკო დავარქვი – დაუძახებ: „მოდი, კოტიკო“ და ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც საჭიროა...

ქმარი წავიდა. ცოლმა ცდუნებას ვერ გაუძლო და:

– მოდი კოტიკო...

გავიდა ერთი საათი, ორი საათი, სამი, ოთხი, მაგრამ კოტიკო არ ჩერდება. ცოლს ძალა აღარ აქვს, რობოტის შეჩერების ინსტრუქცია კი ქმარს არ დაუტოვებია. ბოლოს ფანჯრიდან მეეზოვეს გადასძახა:

– ავთო ბიძია, მიდი, დაიძახე „მოდი, კოტიკო“ და სამ ბოთლ არაყს გიკისრებ!..

3 კვირის შემდეგ ქმარი დაბრუნდა და ასეთი სურათი დახვდა: ყველა სახლს ფანჯრები, კარები ღია აქვს, ხალხი არ ჩანს, მარტო მეეზოვე ავთო დგას ღობეზე აკრული, შარვალჩახდილი და თოფმომარჯვებული:

– ავთო ბიძიას გაუმარჯოს! სად დაიკარგა ეს ხალხი?

– ხალხი არ ვიცი, მაგრამ კოტიკო სადღაც აქვეა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.50